პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 სექტემბერი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 218 (15735)

ხუთწლედი — ვადამდე!

მაკთ შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა 8 თვის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,6 პროცენტით შეასრულა, რეალიზაციისა — 103,9 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 101,2 პროცენტით. გეგმის ზევით გამოშვებულია 1 სამგზავრო ვაგონი, 6 ელექტრომანქანა, 100 ტონა ლითონის ნაჭედი, 167 ტონა თუჯის სხმული.

აღსანიშნავია, რომ ქარხანაში ახლა 158 მუშა შრომობს 1974 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში. წარმოების ხუთმა ნოვატორმა კი 11 სექტემბრისათვის უკვე გაანაღდა პირადი ხუთწლიანი გეგმები. ესენი არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხარატი გივი გაჩეჩილაძე, ელექტროზეინკალი ფარლამ ბეჭუაშვილი, გამპრიალებელი ლეონიდ ანდრიანოვი, ზეინკალი ვიტალი სურგულაძე და ხარატი შმანნი ბერაძე.

40 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია გივი გაჩეჩილაძე. მარტო მეცხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მან 13 წინადადება შეიტანა და წარმოებაში დანერგა. საწარმოს მისცა 405 მანეთი ეკონომია.

ნოვატორთა შეჯიბრება გრძელდება.

ბ. კაპკაპიშვილი.

სურათზე: ვ. ბეჭუაშვილი, გ. გაჩეჩილაძე და უ. ბერაძე.

ხ. კილაძის ფოტო.

ენგურჰესის მშენებლებმა, რომლებმაც ფართოდ ჯაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე წლის დავალების წარმატებით შესრულებისათვის, 8 თვის დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს, შესრულებულია 20 მილიონ 52 ათასი მანეთის საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19 მილიონ 20 ათასი მანეთისა.

მშენებლებმა ტემპს უმატეს

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ იმ სამშენებლო სამმართველოები, რომლებსაც პ. ბიჩკი, უ. გოჯიაშვილი, ო. ჭინჭარაული უძღვებიან.

ჰიდროშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ მომდინარე წლის დავალება დეკემბრის პირველ რიცხვებისათვის გაანაღდონ.

ლ. ბარძაია.

მაღაროელი ლაურეატები

ფიათურა. (საკ. კორ.). ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარჩინებული მაღაროელების წასახალისებლად ფიათურის მარგანტრესტის მმართველობამ და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქომის პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს გამარჯვებული დაჯილდოონ „მაღაროელი ლაურეატის“ საპატიო წოდებით. ეს წოდება დებულებით მიენიჭება მარგანეცის მრეწველობის წამყვანი კვალიფიკაციის მუშას — მარგანეცის ელექტრომტვირთავი მანქანის მემანქანეს, მბურღავს, მესკრეპერეს, ელმავლის მემანქანეს, გვირაბგამყვანს, რომელიც ექვსი თვის მაჩვენებლებით ყველაზე უკეთეს შედეგებს მოიპოვებს. სანმუშო იქნება ყოფაცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ამასწინათ შეჯამეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ხუთწარჩინებულს პირველად მიენიჭა „მაღაროელი ლაურეატის“ საპატიო წოდება, ესენი ორიან დიმიტროვის სახელობის მაღაროს მარგანეცის ელექტრომტვირთავი მანქანის მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი პ. გოგატიშვილი, ახალი ითხვესის მაღაროს გვირაბგამყვანი, ორგზის ორდენოსანი გ. ბაქრაძე, ამავე მაღაროს მესკრეპერე, ლენინის ორდენის კავალერი ჯ. ტალახაძე, ლენინის სახელობის მაღაროს მბურღავი ბ. დოლაძე და სტალინის სახელობის მაღაროს ელმავლის მემანქანე ი. მეგრელიშვილი. თვითეული დაჯილდოდა 50 მანეთით.

მაღაროელი ლაურეატების საწარმოო გეგმების შესრულების მაჩვენებლები 150-200 პროცენტია, მათი რიგები იზრდება.

პ. ჭიოკაძე.

ჩვენს დიად საამშენებლოში

გმირი ქალაქის ნოვოროსიისკის მშრომელებს, ნოვოროსიისკისათვის ბრძოლის მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს სახელოვანი ქალაქის ნოვოროსიისკის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი დღეა!

თქვენთან ერთად განვიცდიდ გულწრფელ სიხარულსა და სიამაყეს იმის გამო, რომ ნოვოროსიისკს მიენიჭა „გმირი ქალაქის“ მაღალი და საპატიო წოდება და დაჯილდოვდა ლენინის ორდენით და მედლით „ოქროს ვარსკვლავით“.

ამ, ჭეშმარიტად ისტორიულ აქტში, გამოხატულია საბჭოთა ხალხის, პარტიისა და მთავრობის მაღლიერება და მადლობა, მაღალი შეფასება ეძლევა იმათ მხედრულ მბრძოლობას, ვინც სიცოცხლეს არ იშურებდა, უმაგალითო მამაცობას, შეუპოვრობასა და გმირობას იჩენდა ქალაქის კიდლებთან. გზას ოღობავდა მტერს საბჭოთა სამხედრეთის [illegible] — [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

სულითა და გულით, მხურვალედ გილოცავთ თქვენ, ავირთასო ნოვოროსიისკელებო და თანამებრძოლებო, სამშობლოს მაღალ ჯილდოს!

დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერ წმიდად დაიცავთ და გაამრავლებთ ამ შესანიშნავი ქალაქის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს!

დიდება გმირ ქალაქ ნოვოროსიისკს!

მარადიული დიდება ჩვენი დიადი საშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გმირ დამცველებს!

ლ. ბრეჟნევი.

ყირიმი, 1973 წ. 15 სექტემბერი.

გმირი ქალაქის ქერჩის მშრომელებსა და ქერჩის ნახევარკუნძულზე გმირული ბრძოლების მონაწილე მეომრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ ქალაქ ქერჩისათვის „გმირი ქალაქის“ მაღალი და საპატიო წოდების მინიჭებას და ლენინის ორდენითა და მედლით „ოქროს ვარსკვლავით“ დაჯილდოებას!

ღირსეულად დაფასდა ულოდესი გმირობა და თავდადება, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ჯილდო გამოხატავს სამშობლოს, პარტიის, მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის მადლობას გმირი მეომრებისადმი, ყირიმის ნახევარკუნძულზე ბრძოლების უშუალო მონაწილეებისადმი, საბჭოთა პატრიოტებისადმი, რომლებმაც უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს ოჯიმუშკაის ქვასატხლოებში, ქალაქის ყველა მშრომელისადმი, რომლებმაც ჯამოიჩინეს ულოდესი გამძლეობა და სიმტკიცე, მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარეს ჩვენს დიად გამარჯვებას.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას და წარმატებებს შრომაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ!

დიდება გმირ ქალაქ ქერჩს!

მარადიული დიდება ჩვენი დიადი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გმირ დამცველებს!

ლ. ბრეჟნევი.

ყირიმი, 1973 წ. 15 სექტემბერი.

დიდება გმირ ქალაქებს!

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქალაქ ნოვოროსიისკისათვის „გმირი ქალაქის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამშობლოს წინაშე თავაღსაჩინო დამსახურებისათვის, მასობრივი გმირობისათვის, მამაცობისა და სიმტკიცისათვის, რაც ნოვოროსიისკის მშრომელებმა და საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის მეომრებმა გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის წლებში, და ჩრდილოეთ კავკასიის დაცვის დროს ფაშისტთა ჯარების განადგურების 30 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქ ნოვოროსიისკს მიენიჭოს „გმირი ქალაქის“ საპატიო წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1973 წ. 14 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქალაქ ქერჩისათვის „გმირი ქალაქის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამშობლოს წინაშე თავაღსაჩინო დამსახურებისათვის, მასობრივი გმირობისათვის, მამაცობისა და სიმტკიცისათვის, რაც გამოიჩინეს ქერჩის მშრომელებმა და საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის მეომრებმა დიდი სამამულო ომის წლებში, და ყირიმის განთავისუფლების დროს ფაშისტთა ჯარების განადგურების 30 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქ ქერჩს მიენიჭოს „გმირი ქალაქის“ საპატიო წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1973 წ. 14 სექტემბერი.

„ტყის მუშაკის“ დღესასწაული

16 სექტემბერი ტყის მუშაკის დღე

ეპარაში ტყის ნარგავებს 185 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. ეს მისი ტერიტორიის თითქმის 62 პროცენტია.

ტყის კარგ მდგომარეობას თვალსაჩინოს ადგენენ 850 მეტყევე, ინჟინერი, ცხენოსანი დარაჯი.

ტყის ნარგავებს განსამრავლებლად სხვადასხვა ლონისძიებები ზორციელდება. ყოველწლიურად 300 ჰექტარზე წარმოებს ფიჭვის, თეთრი აკაციის, კაკლის, ჭანდრის დარგვა.

სურათზე: ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობის ინჟენერი იაკობ ბებილეიშვილი, მეტყევეები მუჰამედ ზოიძე და ერგეს სატყეოს მეურნეობის მეტყევე გივი მათითაიშვილი ერგეს ახალგაზრდა ტყის შემოვლისას.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



შეჯიბრებით მოგილი წარმატებანი

ცხაკაიას რაიონს გაძაეცა წითელი დროშა

ცხაკაია, 14 სექტემბერი. (საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი). ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ფინიშზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის ბრძოლაში ზედიზედ მარჯვეზე ცხაკაიის რაიონის მშრომელები.

სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის ძველი სანაკის მეფრინველეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობისა და საკოლმეურნეობათშორისო სასუქებელი პუნქტის კოლექტივებს წინა დღით გადაეცათ სსრ კავშირის ჭოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები, ხოლო 14 სექტემბერს, ცხაკაიას სახალხო თეატრის ლამაზად მორთულ დარბაზში კვლავ ზეიმი იყო: რაიონმა გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით და ფულადი პრემიით.

სწორედ ამ სასიხარულო ზეიმეულს მიეძღვნა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა კრება.

კრება ბახსნა პარტიის ცხაკაიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესპანჯიამ.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. ბერნაძე.

მან გულთბილად და გულითადად მიულოცა რაიონის მშრომელებს მთავრობის მაღალი ჯილდო, ახალი წარმატებანი უსურვა შეჯიბრებაში მეცხოველეებს, მეჩაიეებს, მეციმინდეებს, მექანიზატორებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის ჯვალა მონაწილეს.

ამხ. კინაძემ ჯაშის ვრიალში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორ-ორ ბანერი ჩაბარა ცხაკაიის რაიონის ოთხ ფერმას, ორ ბრიგადას, ორ ბრიგადირს, ორ ოსტატ-ოპერატორ-ბაზისტ-ბაზისტ-ბაზისტ

ავეჯი, ხარისხი, მომხმარებელი

საქართველოს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები მერვედ აღნიშნავენ თავიანთ დღესასწაულს — „ტყის მუშაკის“ დღეს. მეცხრე ხუთწლედში დიდი ამოცანები დგას ჩვენი დარგის მრეწველობის წინაშე. სასახლეო მეურნეობის განვითარების გეგმაში ავეჯის წარმოება რესპუბლიკაში თითქმის ორჯერ უნდა გაიზარდოს. ამასთან ეს ამოცანა უნდა განხორციელდეს მინიმალური კაპიტალური დაბანდებით, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებით, წარმოების რეზერვების უფრო სრული გამოყენებით.

საწარმოო სიმძლავრეების რაციონალურად გამოყენებისა და მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს საუწყებო საწარმოების გამსხვილება, დარგობრივი და ტექნოლოგიური სპეციალიზაცია. შეიქმნა საბაზისო საწარმოები, რომლებიც კოოპერირების წესით ავეჯის შავად ნაშზად დეტალებსა და ნახევარფაბრიკატებს აწვდიან ამწყობ-შომპრესავ-ფილებს საწარმოებს. გარდა ამისა, მიმდინარეობს მოძველებული საწარმოების რეკონსტრუქცია, შენდება ახალი. საამქროები, სადაც თანამედროვე დანადგარების დამონტაჟების გზით გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

თანამედროვე ავეჯის წარმოებაში ფართო ადგილს იკავებს ლითონის. ამ მიზნით თბილისის ხის დამმუშავებელ ქარხანაში ჩატარდა რეკონსტრუქცია, შეიცვალა მისი პროფილი. მიმდინარე წლის ბოლომდე აქ მასობრივად გამოუშვებენ ავეჯისათვის ლითონის კარკასებს და სხვა ელემენტებს.

წელს დაიწყება სარკის ახალი ფაბრიკის მშენებლობა. ობიექტი მწყობრში ჩაბმულია 1974 წელს. მიმდინარე წლის ბოლომდე რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა დამატებით 9,0 მილიონი მანეთის ღირებულების ავეჯის სიმძლავრენი. მათ შორის: ქუთაისის ავეჯის ფაბრიკაში დამთავრდება ახალი დიდი საამქროს მშენებლობა, საამქრო წელიწადში 4 მილიონი მანეთის ნაწარმს გამოუშვებს, თბილისის № 3 საავეჯო ფაბრიკაში სამზარეულოს ავეჯის სიმძლავრე გაიზრდება 2 მილიონი მანეთით.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არა გვაქვს მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოება. რესურსების შევსების მიზნით ჩვენ დღესაც ვაწარმოებთ 10 ათას კუბურ მეტრ სადურგლო ფილებს, რაც დღევანდელ პირობებში აღარ ითვლება პროგრესულ პროდუქციად ავეჯის წარმოებისათვის, უარყოფითად მოქმედებს ხარისხზე. ამიტომ წელს სამგრეიდის ხის დამმუშავებელ კომბინატთან დაიწყება წელიწადში 40 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის მერქანბურბუშელოვანი ფილების საწარმოს მშენებლობა, რომლის ტირეტულება 8.5 მილიონ მანეთს შეადგენს. ეს საწარმო 1976 წლიდან დაიწყებს პროდუქციის გამოშვებას, რაც დიდად შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში ავეჯის წარმოების განვითარებასა და გაფართოებას. აღსანიშნავია ისიც, რომ აქვე მომავალი წლის ბოლომდე დამთავრდება ავეჯის ახალი ფაბრიკის მშენებლობა.

მიმდინარე ხუთწლედში ავეჯის გამოშვების ორჯერ ზრდა მოხდება ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და სრულყოფის გზით.

ქუთაისის საავეჯო ფაბრიკაში მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაიცა რნილი ავეჯის ავტომატური ხაზი, რომელიც რნილი ავეჯის მაღალხარისხოვანი ნაკეთობებით უზრუნველყოფს არა მარტო ქუთაისის ფაბრიკას, არამედ ჩვენი დარგის მრეწველობის სხვა საწარმოებსაც. მხატვრული ავეჯის წარმოების მიზნით თბილისის სატყეო მრეწველობის საშეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა შექმნა საინტერესო ნახევრადავტომატური მანქანა, რომელიც ავეჯისათვის ორიგინალურ ორნამენტებს ამზადებს.

სამინისტრო, მისი სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიურო სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ ავეჯის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოებისათვის. გასული წლის ბოლოს ჩატარდა ავეჯის ნახევ 139 ნაკეთობის ატესტაცია, რომელთაგან მხოლოდ 24-ს მიეკუთვნა ხარისხის უმაღლესი კატეგორია.

1973-74 წლებში წარმოებიდან მოიხსნება ხარისხს მეორე კატეგორია მიკუთვნებული ნაკეთობანი, ავრეთვე ის ავეჯი, რომელსაც ერთი წლის ვადით მიეკუთვნა ხარისხის პირველი კატეგორია. ხუთწლედის ბოლომდე მათ მაგივრად დაინერგება ავეჯის 70-მდე ახალი მოდელი. მათი ნაწილი წელს წარმოდგენილი იყო „ავეჯი-74“ გამოფენა-ბაზრობაზე და როგორც სპეციალისტების, ისე მომხმარებლების მოწონება დაიმსახურა. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ავეჯის ხუთ ნაკეთობას მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, ესენია თბილისის ეროვნულ-ტაბაკერიენტული ავეჯის ფაბრიკის სასტუმრო-გარნიტური და ეკატერინეს გრეხილი ავეჯის ნახევრადრბილი სკამები. ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე წარდგენილია ქუთაისის საავეჯო ფაბრიკის სასადილო-სასტუმრო გარნიტური.

არავისთვის დასამალავი არ არის, რომ ჩვენი საწარმოების მიერ გამოშვებული ავეჯი ჯერ კიდევ არ შეესაბამება მსოფლიოს სტანდარტებს. ზოგიერთ საწარმოში წარმოების რეზერვები მაქსიმალურად როდია გამოყენებული, სრული დატვირთვით არ არის ათვისებული საწარმოო სიმძლავრეები.

უპირველესი ხანის ჩვენს საწარმოებში კიდევ უფრო გაიზარდა კოლექტივების პასუხისმგებლობა. ამ მხრივ საყურადღებოა თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის და ფალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობის კოლექტივების პატრიოტული წამოწყება. მათ გადახედეს ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებებს, ანალიზი გაუკეთეს წარმოებაში არსებულ რეზერვებს. თავიანთ შესაძლებლობებს და ტყის მუშაკის დღესთან დაკავშირებით იკისრეს დამატებითი გადიდებული ვალდებულებანი, რომლებსაც პირნათლად ასრულებენ. მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა ყველა საწარმომ შეასრულა, მოლიანად სამინისტრომ 8 თვის რეალიზაციის გეგმა 103,1 პროცენტით გაანაღდა, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 104,5 პროცენტით. გეგმის ზევით დამუშავებულია 2.447 ათასი მანეთის პროდუქცია; შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 4,4 პროცენტით, წარმოების ფონდის ტმეკი ადნიშნულ პერიოდში 10,4 პროცენტს შეადგენს, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 4,8 პროცენტით მეტია.

ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები პირნათლად შესრულეს თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატმა, ფალენჯიხის და გულრიფშის ტყემრეწმეურნეობებმა, თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკამ. ახალდაბის საავეჯო ფაბრიკამ, სამტრედიის ხის დამმუშავებელმა კომბინატმა, თბილისის № 1 და № 3 საავეჯო ფაბრიკებმა.

საქართველოს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოო კოლექტივები და ორგანიზაციები, ისე როგორც საქართველოს ყველა მშრომელნი, არ დაზოგავენ ძალასა და ენერგიას, რათა ახალი შრომითი დაძაბული ყოველდღიური სიძნელეები ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის და მომზადებული შეხვდნენ 1974 სამეურნეო წელს.

შ. დოლიძე,
საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი.

ფერილები ერთი სასოფლო რაიონიდან

2. ვიდრე ურემი გაიბრუნდებოდეს

ზოგი რამ პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის მუშაობის სტილზე

ნათქვამია, მაღალი ხე მისი ჩრდილით გაიზომებაო. ყოველი პარტიული ორგანოს მუშაობა კი პირველ რიგში, და საერთოდ, იმით ფასდება, თუ რა გვალს ტოვებს, რა გავლენას ახდენს იგი რაიონის ეკონომიკის განვითარებაზე, როგორ ასრულებს თანამედროვე, კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულ ადამიანთა ჩამოყალიბების რთულ ამოცანას.

მაიაკოვსკის რაიონის ეკონომიკის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის მოკლე გაცნობა, რაც „კომუნისტის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილით დავისახეთ მიზნად. საბაბს იძლევა გავაკეთოთ დასკვნა, რომ პარტიის რაიკომს დასახვეწი აქვს მუშაობის სტილი, რომ იგი განსაკუთრებულ გაუმჯობესებას და სრულყოფას მოითხოვს.

როცა ზოგ ამხანაგს ეს მოსაზრება გაუკვირდა, მაშინვე შემოგვაგებეს კითხვა: მერე და რას გულისხმობთ სტილში?

საქმიანობას, საქმიანობას და მხოლოდ საქმიანობას!

თუ მარტო დადგენილების მიღებით არ დაამთავრებდა და შესრულების შემოწმება მას კარგი მდგომარეობით დაადგენს, თუ სწორად გაანაწილე ადამიანები სამუშაო უნებებზე და მათი პასუხისმგებლობაც ამაღალე, თუ ყოველი სიტყვა პრაქტიკული საქმით განამტკიცე, ნამდვილ რეალობად აქციე, — ეს მართლაც მუშაობის სტილია.

გადავწყვიტეთ მაიაკოვსკის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მაგალითზე განვიხილოთ სწორედ პარტიული მუშაობის სტილის ზოგიერთი ნიშანი.

დავიწყოთ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობიდან.

დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობაში, სამტრესტის საწარმოო გაერთიანებასა და სხვა კოლექტივებში სისტემატურად აჯამებენ შეჯიბრების მიმდინარეობას, რის შესახებ ცნობებიც თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული. თვით პარტიის რაიკომის შენობაში კიბეებზე ასვლისთანავე თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ლამაზად გაფორმებული სტენდი სათანადო დიაგრამებით, რითაც ეცნობით, თუ რომელმა კოლმეურნეობამ, შრომითმა კოლექტივმა გამოიჩინა თავი, ან ვინ ჩამორჩა.

მაგრამ ეს პირველი ეფექტი მალე განელდება, როცა ფერსათის, ზეგნის, დიმის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებს ეწევივით. პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ იყენებენ შეჯიბრების ახალი ფორმების ფართო შესაძლებლობას. აბა თვითონ განსაჯეთ: სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 474 შრომისუნარიანი წევრიდან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მხოლოდ 70 კოლმეურნე. აქ შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და არავითარ მუშაობას არ ეწევა.

საერთოდ, უმრავლეს ორგანიზაციებში შრომითი კოლექტივების წევრებმა სრულიად არაფერი იციან იმით შრომაზე, რომლებთანაც შეჯიბრებაში ჩაებნენ. ზოგან კი თანამოსაქმეთა შრომითს მაჩვენებლებსაც ვერ ეცნობიან.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი — მასების ამ ცოცხალი შემოქმედებისადმი ჯეელრილი, შეიძლება ითქვას, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების პრიორიტეტი რაიონში სოფელ ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს (თავმჯდომარე ი. თავხელიძე, პარტბიუროს მდივანი ი. გოგავა) ეკუთვნით. აქ ამ ცოტა ხნის წინათ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის კომისიაც არ იყო შექმნილი. ერთი სიტყვით. როგორც იტყვიან, კოლმეურნეობაში თითი თითს არავის დაუკრავდა, რომ სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაეშალათ. სწორედ ამიტომაც ფერსათელებმა ძალზე ცუდად დაამუშავეს როგორც ერთწლიანი, ისე შრომაგალწლიანი კულტურების ნათესები. ვერ განამტკიცეს შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აქ კაცდღეების მინიმები არ გამოუმუშავებია 92 კოლმეურნის. ხოლო 22-ს სულაც არ მიუღია მონაწილეობა შრომაში.

ეს ფაქტი, რომ მარტო მიმდინარე წელს სხვადასხვა დარღვევებისა და დანაშაულისათვის სამუშაოდან მოიხსნა ან განთავისუფლდა 12 ნომენკლატურული მუშაკი. მათ შორის არიან მეორე ობჩის, ვარციხის, ზეგნის, როსის სასოფლო საბჭოს აღმასკომების ყოფილი თავმჯდომარეები ა. მჭედლიძე, გ. რევიშვილი, შ. გორგოძე, ჭ. მიქაბერიძე, ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე კ. არშილავა, ამავე სოფლის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი დ. გეწაძე და სხვები. ამ უკანასკნელმა თავისი ქალიშვილი სკოლიდან დამთავრების შესახებ ყალბი ცნობებით მოამარაგა, რისთვისაც სამუშაოდან მოიხსნა და პარტიის რიგებიდან გაიარიცხა.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ განსაკუთრებით ბევრია ყალბი ცნობების გაცემის ფაქტები. ჩანს, ამას ძალიან შეეჩვევნენ სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები.

მაიაკოვსკის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. რობაქიძე ხელს უწყობდა ფეხით სპეკულაციას და სისტემატურად აძლევდა დაბის მცხოვრებლებს ყალბ ცნობებს. მართალია, იგი პასუხისგებაში იყო მიცემული თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის, მაგრამ ბოლოს მისთვის ყველაფერი მშვიდად დამთავრდა და ამჟამად მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურება — მუშაობს დიმის რვაწლიანი სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო მუშაობის დარგში.

არასწორად მიგვაჩნია პარტიის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის ზოგიერთი მუშაკის პოზიცია რაიონული გაზეთი „წითელ დროშაში“ გამოქვეყნებული მთელ რიგ კრიტიკული შენიშვნის მიმართ. უფრო უცნაური ის არის, რომ ერთ-ერთ კრიტიკულ კორესპონდენციაში „შაგი ლაქები“ ვაჭრობის წესების რამდენჯერმე უსვამ დარღვევაში მხილებული მ. გოქსაძე დღესაც არხეინად ვაჭრობს დასმული, ხოლო წერილის ავტორი — რაიონული გაზეთის მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე კ. შავდია დასაჯეს „არაოპერატიულობისათვის“. წერილი დაგვიანებით გამოქვეყნდაო, თქვეს რაიკომში, და კ. შავდიას საკითხი ჯერ რედაქციის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებას განსახილველს, რომელმაც, მეტი მიზეზი რომ ვერ ნახა კ. შავდიას მოქმედებაში, მხოლოდ მითითება მისცა. შემდეგ ეს საკითხი პარტკომის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. და აქაც იძულებული იყვნენ პირველადი პარტორგანიზაციის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულიყვნენ.

შეტად სამწუხაროა, რომ რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ უფრთხილდება საკუთარ ავტორიტეტს და არასწორი მოქმედებით სერიოზულ ჩრდილს აყენებს მას. რაიონში ძალზე გახმაურდა, რომ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. კვირიკაშვილმა თავისი ძველი სახლის ღირებულება ორჯერ აინაზღაურა: ჯერ სადაზღვევო ორგანიზაციიდან მიიღო თანხა, აქაო და დამენერგა, ხოლო შემდეგ გაყიდდა და შიგ მოქალაქე ფვინერია ჩასასვლა.

ხალხში მითქმა-მოთქმაა აგრეთვე იმაზე, რომ „მოსკვიჩის“ მარკის ავტომანქანას, რომელიც სასალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მსხვილიძემ შეიძინა, წესზე მეტია ბინდობილობით დაკმაყოფილს სოფელ წითელიხევის მაღაზიის გამგე ი. ქარჩხაძე.

რაზე მუთითებენ ეს და კიდევ სხვა ფაქტები? უპირველეს ყოვლისა იმაზე, რომ პარტიის მაიაკოვსკის რაიკომმა (პირველი მდივანი შ. ჯოხოძე) და რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე რ. ქარჩხაძე) გაფშინდონ მუშაობის აბმოსფერო ლიბერალიზმისა და მაამებლობისაგან, დროული, მკაცრი ზომები განახორციელონ იმათ მიმართ, ვინც უხვევს პარტიული პრინციპებიდან. ეხორციელა დაამტკიცა, რომ ამ მხრივ ცალიერდენი დათმობაც კი, შეცოდება და უკონტროლობა ბიძგს აძლევს ახალ დარღვევას, ახალ ნაკლსა თუ დანაშაულს. ჩანს რაიონში ჯერ კიდევ საათანადო დასკვნები არ გაუკეთებიათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილებებიდან, იმ პრინციპული გაფრთხილებებიდან, რომ ყველგან, ყველა უბანზე მკაცრად იქნას დაცული პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

მთავარია მთავარია, რომ თვალი კი არ დავხუჭოთ, ადრე ჭეშმარიტი საქმის, „ვიდრე ურემი გადაბრუნდებოდეს“.

ალ. ზურაშვილი,
შ. ჭოჭუა,

საერთაშორისო მიმოხილვა

მეუმეხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების V კონფერენცია, რომელიც ალჟირის დედაქალაქში გაიმართა, ყველაზე წარმომადგენლობითი იყო მეუმეხრობლობის მოძრაობის მეხუთე ისტორიის მანძილზე. ახლა ამ მოძრაობაში მონაწილეობს მსოფლიოს 80-მდე ქვეყანა — სამჯერ მეტი, ვიდრე 1961 წელს, როცა ეს მოძრაობა დაიწყო. დღეს, მას შემდეგ, რაც მსოფლიო ხაზოგადოებრიობა გაეცნო ალჟირის შეხვედრის მონაწილეთა გამოსვლებს, გამოქვეყნდა კონფერენციაზე მიღებული დოკუმენტები, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მისი შედეგები კმაყოფილების გრძნობას იწვევს იმითაც, ვინც იღვწის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, და დიდ უკმაყოფილებას — რეაქციულ ძალებს შორის.

IV კონფერენციის წინანამებში და მისი მუშაობის დროს დასავლეთის პროპაგანდის ბევრი ორგანო ცდილობდა მეუმხრობელი ქვეყნებისათვის თავს მოეხვია მათთვის უცხო კონცეფციები და შეხედულებანი. მთელი რიგი ბურჟუაზიული „ზესახელმწიფოთა მიერ ერთ-ერთ მონაწილეებისათვის შეეპარებინათ თავიანთი უსუფური თეორიები „ზესახელმწიფოთა გარიგების“ შესახებ, იმის შესახებ, თითქოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება არ შეესაბამებოდეს განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს, თითქოს მეუმხრობლობის მოძრაობა თანაბრად უნდა უპირისპირდეს როგორც კაპიტალისტურ სამყაროს, ისე სოციალისტურ თანამგზრობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უდგას სათავეში.

მაგრამ ასეთი იმედები არ გამართლდა. ვერ მოახერხეს სოციალისტური სახელმწიფოების და „მეოსამე სამყაროს“ განვითარებადი ქვეყნების (სწორედ ისინი შეადგენენ მეუმხრობელთა დიდ უმრავლესობას) გათიშვა. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის მონაწილეთა პოლიტიკური შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო (მეუმხრობელთა შორის პროგრესული სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოებთან ერთად არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც ჯერ კიდევ გაბატონებულია არათუ კაპიტალისტური, არამედ აგრეთვე ნახევრადფეოდალური ხაზგადაგებრივი ურთიერთობა), კონფერენციაზე თითქმის არავინ არ დაუჭირა მხარი დასავლეთისა და პეკინის „თეზისებს“.

ალჟირის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ბუმედიენმა კონფერენციის დასაწყისას ხაზგასმით აღნიშნა სოციალისტური ქვეყნების დიდი როლი „ზესამე სამყაროს“ სახელმწიფოთა მიერ ერთ-ერთ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებაში. განსაკუთრებით მკაფიო და დამაჯერებელი პასუხი გასცა ანტიგასაბჭოთა და ანტისოციალისტურ მონაჭორებს რევოლუციური კუბის ბელადმა ფიდელ კასტრომ.

კონფერენციამ მიიღო გენერალური დეკლარაცია, რომელშიც მიეხალმება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. „მშვიდობა მყარი არ იქნება, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, — სანამ წარმოებს ეროონიული ომები, ხდება იმპერიალისტური აგრესიები, ექსპლოატაციას უწევენ და ძარცვავენ სხვა ქვეყნების სიმდიდრეს“. კონფერენციამ დაგმო ისრაელის აგრესიული პოლიტიკა, მხარი დაუჭირა [illegible] ინდოჩინეთის ხალხებს, სოლიდარობა გამოუცხადა ნამიბიის მოსახლეობის, ანგოლის, ანგინის [illegible] ხალხთა ეროვნულ-განმთავისუფლებელ ბრძოლას.

ვაჯამებთ რა კონფერენციის შედეგებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეუმხრობელთა მოძრაობამ არ უღალატა არჩეულ ანტიიმპერიალისტურ ეზას, რომ მას თავიანთ წვლილი შეიტანს იმ პოზიტიურ პროცესებში, რომლებიც ახლა მსოფლიოში ხდება.

დრო და ამბები

- ალჟირის კონფერენციის შედეგები
- მშვიდობისა და თანხმობის ინტერესებისათვის



ლირშესანიშნავი თარიღი გახდა 14 სექტემბერი ინდოჩინეთის ცენტრში მდებარე პატარა მთიანი ქვეყანის — ლაოსის ცხოვრებაში, რომლის მოსახლეობა 3 მილიონი კაცია. ამ დღეს ქვეყნის დედაქალაქში პატრიოტული ძალებისა და ვიეტნამის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მშვიდობის აღდგენისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შეთანხმების ოქმებს.

თვით შეთანხმებას, რომლითაც ბოლო მოეთქმა თითქმის 20 წლის [illegible] მიმდინარე წლის 21 თებერვალს ვიენტიანში ხელი მოეწერა [illegible] ლაოსში პოლიტიკური და სამხედრო მოწესრიგების იმ ძირითადი საკითხების გადაწყვეტის კონკრეტული გზებს, რომლებიც აღნიშნულია 21 თებერვლის შეთანხმებაში. ერონარის ყოფილისა სამეფ ენრის ეროვნული ერთიანობის დროებითი მთავრობის, ეროვნული საკონსულტაციო პოლიტიკური საბჭოს შექმნას, ავრეთვე ერთობლივ სამხედრო კონტროლს. ყველა ამ საკითხებზე შეთანხმების მიღწევით დაგვირგვინდა ხანგრძლივი და ძნელი მოლაპარაკება. რომელსაც აწარმოებდნენ პატრიოტული ძალებისა და ვიეტნამიანის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და რომლებსაც არაერთხელ დაემუქრა ჩაშლა რეაქციის წინააღმდეგობის გამო. ამ წინააღმდეგობის გამოვლინება იყო მემარჯვენეთა ცდა — 20 ივლისოსთვის მოეხდინათ სახელმწიფოს გადატრიალება.

ოქმებით განსაზღვრულია, რომ ლაოსის ეროვნული ერთიანობის დროებით მთავრობაში იქნება პატრიოტული ძალებისა და ვიეტნამიანის ხუთ-ხუთი მინისტრი და ნეიტრალისტების ორი მინისტრი. პატრიოტული ეროონტის ეროტრალური კომიტეტის თავმჯდომარე პრინცი სუფანუვონგი პრემიერ-მინისტრის ორიდან ერთ-ერთი მოადგილე გახდება. ეროვნულ საკონსულტაციო პოლიტიკურ საბჭოში იქნება თვითეული მხარის 16 წარმომადგენელი და 10 ნეიტრალისტი. ეროვნული თანხმობის ეს ორგანო დაეხმარება მთავრობას ქვეყნისადმი ნელმძღვანელობაში.

დოკუმენტებით გათვალისწინებულია, რომ 60 დღის განმავლობაში უცხოეთის მთელი სამხედრო პერსონალი უნდა წავიდეს ლაოსიდან. ეს ეხება როგორც ამერიკის სამხედრო მრჩეველებს, რომლებიც ლაოსის ტერიტორიაზე მყოფნენ. ისე თითქმის 17 ათას ტაილანდელ დაქირავებულს, რომლებსაც შეიერთებული შტატები აფინანსებდნენ. ნელმოწერილი ოქმების შესაბამისად პატრიოტთა სამხედრო და პოლიციური ძალები განლაგდებიან ვიენტიანსა და სამეფო დედაქალაქ ლუანგპრაბანგში, ამასთან მათი რიცხვი და ვიენტიანის ძალების რიცხვი თანაბარი უნდა იყოს.

ვიენტიანში ნელმოწერილმა ოქმებმა მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ლაოსელი ხალხის ისეთი ძირითადი ეროვნული უფლებების უზრუნველყოფას, როგორიც არის ქვეყნის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ერთიანობა, ნეიტრალიტეტი, აგრეთვე მის მშვიდობიან განვითარებას. ამ უფლებებისათვის ლაოსელი ხალხი მრავალი წლის მანძილზე იბრძოდა კოლონიზატორებისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ. ლაოსში მიღწეული თანხმობის მნიშვნელობა სცილდება ამ ქვეყნის ფარგლებს. იგი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ყველაზე რთული საკითხები შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მშვიდობს, ეროვნული ერთიანობისა და თანხმობის ინტერესებისათვის. (საკდესი).

განზრახ ჩაურევლობა?

ვაშინგტონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ვაშინგტონის ოფიციალურმა წრეებმა დაადასტურეს, რომ შეერთებულ შტატების არაერთხელ მიუღია ინფორმაცია, რომ ჩილეში სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა.

„ამ ბოლო თვის მანძილზე, — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, — სხვადასხვა წყაროდან ვიღებდით ბევრ ცნობას, რომ გარკვეულ დღეს, გარკვეულ დროს ჩილეში რაიმე ფორმით მოხდება სამხედრო ჩარევა“.

ამასთან დაკავშირებით საქმეში ჩახედული წრეები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ უცნობებია ჩილეს მთავრობისათვის, რომ პუტჩი მზადდებოდა, ვინაიდან „ამერიკის ოფიციალური პოლიტიკა არ ჩაერიოს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ იმოწმებს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ჯეკ კუბიჩის ჩვენებებს სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ქვეკომისიის დახურულ სხდომაზე და ეუწყება, რომ უკანასკნელი ინობები გადატრიალების მომზადების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ სანტიაგოში „მიიღო ერთ-ერთი ჩილელი ოფიცრისაგან ამბოხებამდე ერთი დღით ადრე“. კუბიჩმა განაცხადა, წერს შემდეგ განმეორებით, რომ ეს „მოახსენეს ვაშინგტონის უმაღლეს წრეებს“.

აპრელიტაციის ჩამოერთვა

პარალ, 14 სექტემბერი. (საკდესი). ჩიხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ალბერტ ტრელეზნის ჟურნალისტის, რიზის, რომლის საქმიანობა იწინააღმდეგებოდა ქვეყნის კანონებს და ჩეხოსლოვაკიაში ოფიციალურ ორგანოს სტატუსს. ჩეხოსლოვაკიის დიპომატიათა საგანგებო ორკომისიამ ალბერტ ტრელეზნის ჟურნალისტ სტატუსს. ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს

ქართველი მწერლები — სკოლების ძარღვებში!

სოფელს რომ არ გასჭირვებოდა, ვინ გაუბედავდა ბარამაანთ ლადოს, საკარმიდამოდან ყურძენი ჩაგვაბარეო.

„რა ჩამბარე, რო ჩაგაბარო?!“ —ამოვ წუთს მიუგებდა კუწუმწრახი...

სეტყვა მოვიდა სოფელ ჩიჩხანის საგენახე ფართობებზე. სეტყვა კი არა და უფრო მეტიც; ბატკნის თავის სიმსხო ცვიოდა ბლავილ-ბღავილით ტყვეისფერიდან თეთრად ჩამოკაფული. რისხვის ზოლად ჩაუქროლა სეტყვამ იქობასა, ნახევარძმასავით გაიარა ზერები ჩიჩხანიცა, მიტკალეთი ჩახია ერთი ნახევარი და სიმწიფეში შეყული რქაწითელის ჯილდოსფერი მტევანი საოცრად აზილა დედამიწაში, ბინდისას მოხდა ეს ყველაფერი, ქუდდაფლად მოხდა...

ღამით ვარსკვლავი აკიაფდა დამსხვრეულ კრამიტებში. დილისათვის უმანკოსავით მოკაკილა კაბადონმა, მზის ცხოველმა ჩამოსცინა დედამიწას, ლაშქარგადავლილივით აოხრებულ ზვრებსა, და ბალეხის ცრემლმომატებული მტევანი ყინულთან ერთად იწურებოდა დედამიწაზე. ალაფებული მოტკბო ღვინები ფერმებისაკენ მიეკანებოდა, წყნეულნი ერეოდა და ალაზანს ადიდებდა.

არა იყო რა სადიდებელი...

დამმარდა ნახევარსოფელი...

თვალწინ განახვევრდა და გაცუდდა პირობა.

ჩასაბარებლად შეთქმული ორი ათასი — ათასად ქცეა, პირის გატეხა იქით იყოს და, ნახევარსოფელი პირამოხახული და უდიერძალებელი რჩებოდა...

შეყვითლებული, ძველი არყით დაითვრნენ დაზარალებული გლეხები და სულ ხმამაღლა, უჩოთოდ აგინეს ზეცას თავის მთვარე-ვარსკვლავიანად. ამ ღრიანცელში მოვლინა ბარამაანთ ლადო დაზარალებული მეზობლების სიმწრის-სუფრას საკუთარი პურეულითნთ. „მეც თქვენთან ვარ, ბიჭებო! — დაიძახა ლადომ და სათავისო ზედაშეფი გამეტებით შეუვსო დამშრალი ჭიქები, სასხვისოს ბატანა ვერ გაბედა ბაზრიკაცმა.

გრძელი სუფრის ერთ მხარეს დაზარალებულები სხდნენ, მეორე მხარეს კი გადარჩენილი მამულის პატრონები. ლადოც გადარჩენილების სიაში იყო, ნასტყვის ბიჭნაზე მოპყვა ბარამაანთ ლადოს ვენახი, დაუზარალებელ მეორე ნახევარში...

თავმჯდომარემ ცოტა ხნით შემოიარა, იჯდა ფრიბეშეკრული, არც დაულეკია, არც გაუღეჭია.

„ძეც თქვენთანა ვარ, ბიჭებო!“. — კვლავ დაიძახა ლადომ. ნეტა რი მოარბენინებდა და რა აყვირებდა, ამ კუბეაწარასა, ამასა, კაცმა რომ თქვას?!. სახელშელახულმა, გზასგაკრულმა გლეხმა, წაბდენილი სახელის აღსადგენი ყამი იყნოსა და „ჩავაბარებო, უკლებლივ ჩავაბარებო!“ დაიძახა და მერეც სულ იძახდა. კარგა კი ჰქონდა გამჯდარი სასმელი ძარღვებში. ერთი ხელადა სულმოუთქმელად გამოსცალა სახლში, მამულის გადარჩენის სიხარულით წამოგზნებულმა, მეორე ხელადაც დაზარალებულთა სუფრაზე შემოელია და როცა შეეჭიდა მთავჯდომარემ დანისლული მზერა მისკენ გამოაძოვა, ერთხელაც მაშინ დაიძახა, „ჩავაბარებ, უკლებლივ ჩავაბარებ, ბიჭებო!“...

სხვა ჭიაცა სუმდა ბარამაანთ ლადოს, თორემ, მარტო სოფლად სახელის მოხვეჭისათვის ამ ნაბიჯს არ გადადგამდა, არა. ეს მეორე და მთავარი ჭია, ქალაქში მაცხოვრებელ, დაოჯახებულ ვაჟთან უბრალოდ ყოფნა იყო. თავისი კუბეაწარაობითა და წყალ-წყალ წინწალით ისე გაეხადა საქმე, რომ ერთადერთი ვაჟიც გასხვისებულივით ცხოვრობდა დედაქალაქში და შინისაკენ ფეხდამძიმებული ბამამაპაპოდ ზრდიდა შვილებს...

„მგელმა თქვა ქორწილს ვაპირებ, ღვინო ჩავასხი ნასეტყვი...“ — ცისარტყელასავით ააკრეს. შვიდხმიანი გამწარებულმა გლეხებმა... ჩავაბარებ, უკლებლივ ჩავაბარებო!... — შემოთავებულ სიმღერას დააყოლა ლადომ და შინისაკენ გამოსწია.

„მგელმა თქვა... მგელმა, მგელმა თქვაა“, — გზა-გზა ღიღინებდა მხარში გასწორებული ლადო. ცოლს არაფერი უთქვამს, ისე შეხედა. ერთი შეხედვითა და მერე ლოგინი დაუგო. კიდევ შეხედა, ფეთინ, როცა ლადო ლარავის უყურებდა...

მეორე თუ მესამე დღესაც, მანამდე უჩვეულო, მოკეთილო ზრახვებით შეზარხოშებულმა ლადომ საერთო კრებაზეც ძახა „ჩავაბარებ, წმინდად ჩავაბარებ, ბიჭებო!“

„ღვინო ჩავასხი ნასეტყვი“ — ღიღინებდა კრებიდან წამოსული ლადო, ჯირკის ჯანიანი, ორმოცდაათი წლის თაღლითა გლეხი-კაცი, თან იღლიაში ამოდებული ადგილობრივი პაწია გაზეთის დიდ შეკვრას მოატკაცებდა. გაზეთიდან, პირობამიცემული ბარამაანთ ლადო იკვრიტებოდა: „არც ეგრეა ბიჭებო, ხალხნო და სოფელო, როგორც გეგონათ!“ — ეძახდა ორი ლადო იღლიიდან და ღელის ზემოდანაც, უპირო თავის სიმრგვალიდან...

დილით, ნაღვინარი ქუთუთოები რომ გაწაწყდა, წინა დღის ადგილობრივი გაზეთიდან თავისმა ორეულმა გამომცდელად შემოსჭვრიტა. ორი ათას კილოგრამ საღვინე ყურძენს ჰპირდებოდა ბარამაანთ ლადო ქვეყნიერებასა.

ამ დღეებში ვენახიდან მოკლეზე როდი ბრუნდებოდა, სოფლის ყველა ორღობე, შუკა და შარა უნდა მოეკლო გაზეთებდაიღლიავებულს, ტოლებს ტკაფიავებოდა ენამჭრელი, უფროსებს დარიგებასა ითხოვდა მორჩილად თავდახრილი, ყმაწვილებს კი დარიგებებს ურიგებდა გაზეთთან ერთად...

მეშვიდე, თუ მერვე დილას რომ გაიღვიძა და გაზეთიდან მამზრალ თავის ორეულს თვალი ჩაუკრა, ერთბაშად ისეთი ცეცხლი შეუნთო და შეუკეთა მეუღლემ, რომ სულ ტკაცატკაცით წამოაფრინა ლოგინიდან:

— პირობა ცხვირის დაცემინება როდია, შე ცხრაპირავ და ცხრაკუდავ, შენ, თანაც გაზეთშიც რომ გამოშეკიმე და ერთი ამბავი შეჭქმენი?... აბა გახედე ერთი, რა ამბავი აქვთ შენს დაბეგებულ მუშტრებსა. გასწი, გახედე და პასუხი გაეც, მისმარასა, თორე!... არ გეყმის ჭიგითი მანქანების ჭყვეტინი?“! — დასცაცხანებდა დედაკაცი და ცოცხით ფანჯრისაკენ მიუთითებდა.

ვიდრე ლადო ფანჯრიდან მუშტარს გასცქეროდა, იმის ზურგსუკან შოლტივით შეხოდა მრავლის თმენით მოღლილი მეუღლის სიტყვა და გასაქანს არ აძლევდა.

— გასწო, უთხარი, რომა, წავიდნენ, — რაღაც უსაფუძვლოდ მიაროსა ლადომ როგორღაც უჩვეულო შემართებით ალესილ მეუღლეს.

— გასწო და უთხარი, ჭირი მომჭამეთ იმათაც და შენცა, როგორც შეიბირე, ისეც განიბერე! — მიაკაფა ცოლმა...

— მე ვიცოდი, რო სეტყვა მოვიდოდა, ვიცოდი, რო... — ბუზღუნებდა ლადო. — აბა, ვისაც რა არი, ცალცალკე გაგიხვევ გაზეთში და მომწყდნენ თავიდანა!... — თქვა დაბნეულმა ლადომ და ფულის გახვევა იწყო. ყველა გაზეთში ლადო იგრაგნებოდა ფულთან ერთად... ცოლს ხმა აღარ გაუცია, ცოცხის ფხაკუნით გაერიდა მეორე ოთახში.

დაბეკვებული მუშტრის გარდა, ჭიშკარს იქით, მეზობლებიც დატორფიალებდნენ სასეიროდ...

— ბიკი, რას გიზამ, იცი?!... — ემუქრებოდა ერთი მუშტარი.

— წელიწადი ატრიალე ჩემი ფული და ახლა, შე!... — გაცუდებულ ბეს ჯიბეში იჩრიდა მეორე მუშტარი, ბირობიან გაზეთს ზედ ცხვირწინ უხვევდა ლადოს და თან დახვეწილი ქალაქურით აგინებდა. მესამემ გაიწია კიდეც...

— ჯერ თავო და თავო, მერე კიდევ სხვაო... მე სოფელს ვერ ეუღალატებ, ვერა. ეხლავე რწმენებულთან დავრეკავ და... ეხლავე! — უკან-უკან ახევდა ლადო...

— იქ არ ჩამოხვალ, ბაზარზე?! აი, მე თუ შენ დახლზე არ გავრახდი, კაცი არ ვიყო! — მეოთხე მანქანაც გინებით მოშორდა ლადოს ალაყაფს...

ექტემბერი ნელნელა გაშუალდა... სიტყვის მერე, ბარე ათ დღემდე, მზემ თვალი არ მოხუჭა და ისე დამკარა გადარჩენილი ზვრები, რომ, დღედღეზე რთველს უნდა დაეძახნა...

უკვე ვენახში აღამ-ათენებდა გლეხობა...

ერთ საღამოსაც ბარამაანთ ვენახის ბოლოზე, სახრავი ატმის ქვეშ გაჩართულ ქოხში, კრაწაანთ კოტორამ მოაკითხა ჩალის კონახე დაპირქვავებულ ლადოს, ხმაამოუღებ�s ჩამოუჯდა სახელდახელო ტახტზე და კარგა ხანს გინგლს აცლიდა ატამს მუხლისთავზე.

მერაბ ელიოზიშვილი

— მეტის გაჩერება აღარ შეიძლება, დაგვეპეპეს კრაზანებმა, — ამოსთქვა ბოლოს კოტორამ და ლადოს ფერხთით შეხორებულ ატმის კურკას კურკა მიამტა, ლადო ისევ ისე იწვა პირქვე და ჩალას ღეჭავდა წინა კბილებით.

— მუშტარი მოგიყვანე, მანეთნახევრიანი მგონი, — ამოსთქვა ბოლოს კოტორამ, წამოდგა და ქოხის კარებში გაიხედა.

— არა მეკითხება რა! — თქვა ლადომ და დამბალი ჩალა გამოაფურთხა.

— ეგებთ წაამატოს კიდეც, მონდომებულია, — თქვა კიდევ კრაწამ და იღლიიდან გამოხედა მეზობელს: ლადომ არა უპასუხა რა...

— მა, ლეღვის ფასად ჩავაბაროთ დღენასა?

— შენი მეეცი, — თქვა ლადომ და წამოდგა.

— ჩემი არა ჰყოფნის, მეტი უნდა, ბაბაზეს, — წაუმატებს, — აედევნა ლადოს კოტორა...

— როგორაა, ვიღაც შავპოსლიკა, ეუცხო კაცი ისეა ლიბეზობდა. კრაწა და ლადო შენიშნა თუ არა, მაშინვე მათკენ გამოეშურა.

— ერთ კვირაში ჩამოვალ, ბეს მთლიანად გაძლევთ, — შორიდანვე დაიწყო მუშტარმა, მტევანს უკანასკნელი კიბეპალიც შეასვლიპა, მერე, ნასვლები გადაადგო, წებოიანი ხელი ლადოს ხელის მტევანს შეაწება უბოდიშოდ და განაგრძო:

— ყირიმში, ჩორნი კაბნის ბელმუსატზე ეგრე იცით: მტევანს ყუნწში გადაგრეხავენ ორ-სამჯერ, მაგრამ, ზედ ტოვებენ: ერთი კვირის შემდეგ კრეფავენ და მეც ეგრე მინდა, სწორედ, როგორც ყირიმშია. — დაამთავრა შავპოსლიკამ, ზედ ცხვირწინ გასვლიპა ახალი მტევანი და თავისუფალი ხელით ათმანეთიანების წითელი შეკვრა დაუძრო უბიდან ლადოს დასაბმელ-დასაბეკებლად...

— შენ რა, კაკლის ფურცლა გინდა? — ლადომ მუშტარი მიატოვა და ქვემოთ ჩაუყვა რიგსა.

— გაშრობისას დაგიმატებ, — აედევნა შავპოსლიკა...

— არ გამოვა, სიტყვა იღლიაში მიდეკ, — თავი გააქნია ლადომ.

— შენი სიტყვა ჩემ იღლიაში იყოს, — სხარტად აართვა გაზეთი მუშტარმა. ლადო შემობრუნდა.

— ჩემი სიტყვა კიდევ შენ იღლიაში იყოს, — იმავე წამს მუშტარმა ათმანეთიანების შეკვრა დაუიღლიავა ლადოს.

— არა, არა! — ლადომ ფული უკანვე გაუწოდა.

— სად ათი შაური, სად კიდევ მანეთნახევარი, შე კაი კაცო! — ნაბიჯი წინ წადგა მუშტარმა.

— არა! — თავი გააქნია ლადომ.

— აბაზიც გაშრობისა იყოს, რუბსემდისიტ, ჯანი გავარდეს!

— ვერა!

— რუბვოსემდისიტ, კაცო!

— არა... — ძნელად თქვა ლადომ.

— ვა, ძირიანად ხომ არ გართმეფ, დევინოსტო!...

— არა... — უფრო ძნელად თქვა ლადომ.

— ნუ გადაგრეხავ, ეგრე იყოს, როგორც არი, — მეუღლის ქსიტინს მიაყურა და კვლავ მარანში დაბუზუნდა. თამბაქო გარეთ ჩაკერო, მარანში არ შეიყოროა... მარან-ქვევრების მოწა კარგი იცოდა და ყველა ჭურჭელი, სასხვისოც და სათავისოც გამართული და ყაიდაში მოყვანილი ჰქონდა. „ერთი ქვევრი, სამკვდრო-სასიცოცხლო, არ უნდა აიკოსოს კაცმა?!“. — ჩაიჩურჩულა ლადომ და საკუთარი გადაატრიალა.

მაისის თაფლისფერმა ღვინიერმა სითხემ ქვევრი თანდათან მოპირა. ვენახიდან წამოღებული მანეულს წკეპლები გააწყო ქვევრზე, ზედ ვაზის ფართო ფოთლები დააფარა და სარქველიც მოამზო... ბადგის სურნელმა გაავსო მარანი. ჭიქა ცალკე ქვევრში დაბიბინავა ლადომ, საქმემოთავებული ფოთხილად გამოვიდა გარეთ და მარანს კლიტე დაადო...

მესამე მამლიყივილს ეპირებოდა ჟამი, როცა ლადომ ფეხაკრეფით მიაშურა საწოლს. „საკუთარ ვენახს რომ თითო მტევანი შეაბტვროს კაცმა და ერთი სამკვდრო-სასიცოცხლო ქვევრი შეიფაროს, ვითომ ვის რა დაეკლება?!“ — ძილსპირულივით ჩაიჩურჩულა ლადომ და ნაჯაფარი ცოლის სუნთქვას თავისი ხვრინვაც მიეტატა...

მეორე საღამოს, ბარხლიდან დაბრუნებულ ცოლს მარნის გასაღები მოჰკითხა ლადომ, საგულდაგულოდ რომ ჰქონდა უბეში გადამალული. ცოლის უარზე, „მე არა ვიცი რაო“, ლადომ ცრუ ქექვა იწყო ჯუთხე-ჯუნკუულში, მერე, ვითომ ხელი იღო გასაღების ძებნაზე და ერთი პირობა კლიტის გატეხაც დაუპირა. მერე, „გასაღები სადმე ეგდება, კლიტის გატეხა აფსუსაო“, თქვა და მზის ჩასვლაზე კარგა ხნის ადრე ვენახს ჩაკითხა. ისევ ისეთი დახვდა ვენახი, გუშინ რომ იყო, არაფერი ეტყობოდა ნაკრეფი. გულშემგრეხულმა ღიღინით დაიარა ყველა ვაზი და მერე, კარგახანს მიირთმევდა სახრავ ატამს ქოხში.

ატმის ჭამით რომ თავი შეიქცია, გულალმა გაიშოტა ჩალის კონაზე და ფიქრი იწყო. ნელნელა ვენახს გასცდა ლადოს ფიქრი და მარანი დაათვალიერა. ერთადერთი სავსე ქვევრი ობოლივით ჩამდგარიყო უამრავ ცარიელ ქვევრებსა და კასრებს შორის. გული გაეწურა ლადოს მარტოკინა ქვევრის ცქერით. ფიქრი მოიშორა, წამოდგა და გარეთ გამოვიდა. კიდევ აიარა რიგთაშუა და ერთი, მეტისმეტად დაჯოჯოლილი ვაზის წინ შედგა კაკვირვებით და დიდხანს უყურა, „კი არ მოჭკლებიაო, თითქოს მომატებია კიდეცა“ — გაუღელა ლადოს და დატენილ მტევნებს ხელი შეახო. „იქნება გამომრჩა წუხელ“, — გაიფიქრა და ახლა მეზობელ ვაზს მიაკითხა. ის კიდევ უფრო მეტად მსხმოიარე და დამკრახული შეეგება პატრონს. ხოლო, როცა მესამე და მეოთხე ვაზმაც ისევ სიხარულით აუვსო გული, „დაგელოცოთ ბარაქა, მარენალებოო“, — რიხით წარმოთქვა ლადომ და ცარიელი გოდორი არხეინად გამოიტანა ქოხიდან.

დიდი ომის მომნელებელ სოფელს, დიდი სეტყვის მონელება არ გასჭირვებია. დიდმა მარანმა

მხატვარი ბ. იაშვილი.

ირაკლი აბაშიძე

ციკლიდან:

ჰიმნი ბიბლიოთეკა სიცოცხლეს დედამიწაზე

ახლა, შეკედით რა ატომის საუკუნეში, ჩვენ ვდგავართ არჩევანის წინაშე: ან ჩვენი მოდგმის აღგვიხდა და, შესაძლოა, ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის ყოველ გვარი ფორმის განადგურებისა ან ამ პლანეტაზე ჩვენი ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებისა, გაუმჯობესებისა პიროვნებისთვისაც და საზოგადოების თვისაც. იმ ორი მილიარდი წლის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც, ასტრონომთა თქმით, ჩვენი პლანეტა გამოსადეგი იქნება ადამიანთა საცხოვრებლად“.

არნოლდ ტოინბი.
„ისტორიკოსთა დიალოგი“
„ნოვი მირ“, 1967 წ.

არა, ჯერ სიტყვა არა აქვს შიმშილს,
უწყლობას,
ხმობას,
გობს და საჰარას;
არა, ჯერ კვდომის არ არის შიში,
ჯერ მიწის მადლი გვაქვს თავსაყარად.

არა, ჯერ წარღვნის
არ ისმის თქმაში,
ადამის ჯიშზე შურის მგებელი;
ჯერ ისევ მიწის გაუხსნელ მკერდში
აწყვია განძი ხელუხლებელი.

არა, ჯერ მოთხრის
არა ვართ კერძი,
ჯერ ისევ ფეთქავს
სუნთქვა გრძნეული;
ჯერ ისევ ზღვების
უხილავ ფსკერზე
აწყვია განძი მზამზარეული.

არა, ჯერ აღგვის
არ არის შიში,
ჯერ ჭირის ღმერთი
ძეგლს ვერ აიგებს;
ჯერ კიდევ ყინვის უსიერ ძილში
უმდიდრეს სუნთქვით სძინავთ ტაიგებს.

ჯერ ისევ სძინავთ
გაუვალ ტუნდრებს,
მზე რომ ხვალ ფურცვლის
ელის ზეიმზე;
ჯერ ისევ სძინავთ განგესის ჯუნგლებს,
ჯერ ტევრებს სძინავთ ენისეიზე.

ჯერ ისევ იწვის
სამხრეთის მთები,
ჯერ ირან-თურანს სწვავს ჯოჯოხეთი;
ჯერ გუშინ გაძღა
„მშიერი სტეპი“,
ჯერ მხოლოდ გუშინ აღდგა კოლხეთი.

ჯერ მხოლოდ მოდის,
ჯერ მხოლოდ იწყებს,
ჯერ მხოლოდ ბინდად
ჩანს გასახედი;
ჯერ ახლა ფურჩქნის
მზე ყამირ მიწებს,
ჯერ გულმკერდს ახლა
ხსნის ყაზახეთი.

მაშ გავხსნათ მიწა,
მაშ მიწის მკერდი
იმ უკვდავ ნერგით
ახლად ვახაროთ!
ჩვენ ჩვენი მიწის
მოდგმა ვართ ერთი,
ამ მიწის კაცთა ორი სამყარო.

მაშ მტრობას ომი,
მაშ მტრობას ომი!
მაშ ომის მტრობას —
ღონეც და ნიჭიც!
გაბრწყინდეს ყველა ნიჭით და ღონით,
მშვიდობის დროშა საბჭოთა მიწის!

დღეს მხოლოდ ერთი,
დღეს მხოლოდ ერთი:
ან წარღვნის თქმაში,
ან ხსნის ნობათი,
ჩვენ უნდა ვპოვოთ
ამ მიწის ბედი,
ჩვენ უნდა მივცეთ ხალხს მყოობადი.

ო, არა ცეცხლი,
ო, არა ცრემლი,
ო, არა ჭირის საყვირ-საკრავი;
აყვავდეს მიწა, მშობელი ჩვენი,
აყვავდეს მიწა, ჩვენი საფლავი.

არა, ჯერ სიტყვა არა აქვს შიმშილს,
უწყლობას,
ხმობას,
გობს და საჰარას;
ჯერ მეფობს. მეფობს ადამის ჯიში,
ჯერ მიწის მადლი გვაქვს თავსაყარად.

ნასიმი

ვიპოვე

დარდის გამფანტავი მზე შენს თვალებში ვიპოვე,
ცრემლი სიყვარულისა შენს ალერსში ვიპოვე.
რწმენა-ურწმუნოების გადამხმარი ფესვები
შენს თმაში და ტუჩებში გახლართული ვიპოვე.
შენი სილამაზისა დასამალი ადგილი
ჩემი ხელის სახახლის ნანგრევებში ვიპოვე.
საიქიოს, მერწმუნე, მე სამოთხე რათ მინდა,
როცა ჩემთვის სამოთხე შენს ფერთა ქვეშ ვიპოვე.
ცაზე მთვარე რათ მინდა, როს ამ ცოდვილ მიწაზე
მისი შუქის პირველი მწყალობელი ვიპოვე.
დილის შუქი ვიპოვე, მწუხრის მანათობელი;
ჩემი აღმატების და აღდგომის გზა ვიპოვე.
ნეტა რას შევადარო, რომელ ლალს და მარგალიტს,
ე მაგ წარბ-წამწამებში ვარსკვლავები ვიპოვე.
ქვეყნად ძე ხორციელი ღვთის ბადალი რომ არი,
აზრად განგებისადა შენს ხიტყვებში ვიპოვე.
თავად თვალ-მარგალიტო, იმიტომ და ამიტომ,
მსხვერპლი შენი გულისა ხალხის გულში ვიპოვე.

თარგმანი მორის ფოცხიშვილისა.

ი. ნასიმის დაბადების 600 წლისთავი

დიდი პოეტი და ჰუმანისტი

„ჰომუნისტის“ ჯალენდარი

ჰუმანიზმის იდეები ძველთაგანვე ასულდგმულებდა აზერბაიჯანის სახელგანთქმულ პოეტთა შემოქმედებას. ნიზამისა და ხაყანის პოეტური საგანძური ადამიანის ბედნიერების, მისი მაღალი ცხოვრებისეული დანიშნულების ნამდვილი საგალობელია.

მე-14 საუკუნის თვალსაჩინო პოეტი იმამედინ ნასიმი წინა ეპოქების აღიარებულ პოეტთა სულიერი მემკვიდრე და მათი შემოქმედების ჭეშმარიტი გამგრძელებელია. ისლამის მსახურთა წინააღმდეგ მიმართული მისი პოეზია მორალურ საძირკველს უთხრიდა არსებულ წესწყობილებას და ხელს უწყობდა ხალხის გამოფხიზლებას.

ნასიმიმ უაღრესად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი გზა განვლო.

იმამედინ ნასიმი დაიბადა ქალაქ შემახაში, დაახლოებით 1370 წელს. შემახა შირვანშაჰების სახელმწიფოს დედაქალაქი იყო და უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა მთელ ახლო აღმოსავლეთში. ამ ქალაქში დაიბადა და მოღვაწეობდა მრავალი საქებნოდ სახელგანთქმული პოეტი და მეცნიერი. დაწყებითი განათლება ნასიმიმ შემახის მედრესეში მიიღო. დედაენის გარდა პოეტი თავისუფლად ფლობდა არაბულ და ფარსულ ენებს. იგი კარგად იცნობდა აღმოსავლეთის განთქმულ მეცნიერთა შრომებს და კარგად ერკვეოდა ასტრონომიაში, ბუნებისმეტყველებაში, მათემატიკასა და მეცნიერების სხვა დარგებში.

ნასიმი ბავშვობიდანვე გაიტაცა პოეზიამ და თავის პირველ ქმნილებებს ჰუსეინის ფსევდონიმს აწერდა. პოეტმა ჭაბუკობის წლებში იგემა თემურლენგის ჯარების შემოსევათა სიმწვავე და მშობლიური ქვეყნის აოხრების საშინელება.

ამ დროს ქალაქის ამბოხებულმა ხელოსნებმა თემურლენგის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ შექმნეს ჰურუფიტების სექტა, რომლის დამაარსებელი და გამავრცელებელიც თავრიზელი ფაზლულაჰ ნაიმი იყო. ნასიმი პირადად გაიცნო ნაიმის და მისი სექტის აქტიური მებრძოლი გახდა. ფაზლულაჰის პატივსაცემად პოემა ახალი ფსევდონიმი „ნასიმი“ აირჩია, რაც „ქარის ნიავს“ ნიშნავს.

თემურლენგის ბრძანებით შირვანში მყოფი ფაზლულაჰი და მისი მიმდევრები დაუპატიმრეს და დასჯეს. საკვირველია, რომ ნასიმიმ ამის გამო მიატოვა შირვანი და მცირე აზიაში გადასახლდა. პოეტის ნაწარმოებებიდან ირკვევა, რომ იგი ცხოვრობდა ჯერ ბაღდადში, შემდეგ ერაყისა და თურქეთის ქალაქებში. საბოლოოდ კი სირიის ქალაქ ჰალებში (ალეპო) დასახლებულა.

ნასიმი აქაც ჰურუფიტულ მოძღვრებას ქადაგებდა და მრავალი მიმდევარიც მიიზიდა. სამღვდელოებასა და თვით ეგვიპტის სულთანს შეეშინენელი არ დარჩენია მისი მოღვაწეობა. 1417 წელს ნასიმი დაუპატიმრეს და წამებით სიკვდილი მიუსაჯეს. პოეტის სიკვდილის თარიღზე რამდენიმე ვერსია არსებობს.

ნასიმიმ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი დივანები, ყასიდები, ყაზელები თუ მესნეფები თავიანი დროის, თავისი ეპოქის ტკივილებით არის ნაკარნახევი. შემბლიერ ენაზე დაწერილი მისი ლექსები თავისი ღრმა ფილოსოფიური შინაარსით ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და მორალურ პრობლემებს ეხება.

ნასიმის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკასაც, პოეტი უმღერის ამქვეყნიურ მშვენიერებას, სილამაზეს. ხშირად მიმართავს დასამახსოვრებელ ეპითეტებს, ალიტერაციებს. ნასიმის პოეზია ზეპირსტყვიერების საუნჯეში იღებს სათავეს და ხალხური სიბრძნით არის გაჟღენთილი. იგი აზერბაიჯანულ ენაზე შექმნილი სატრფიალო ლირიკის პირველ შემოქმედად აკვლენილება.

ნასიმი მოუწოდებს თანამედროვეთ ბოროს მოგიდნენ, მოიკრიბონ ძალა და ენერგია, რომ წინააღეფდნენ გაბატონებულ ფეოდალურ წყობილებას. მთავარია გამბედაობა და მამაცობა. თუმცა ასეთები ცოტანი არიან:

„ყოველ კაცს თუმცა მოსავს
ჩობა
და მოსავს ჩალმა,
მაგრამ ქუდიანს ათას კაცში
ერთსაც
ვერ ნახავ“.

ნასიმი უმღერის ადამიანს, ცხოვრების შემოქმედს, მშვენიერების საწყისს. მას იზიდავს ადამიანში სიყვარულის უნარი, ცოდნა, ერიკეულება, გულწრფელობა, გამჭრიახობა. ნასიმის პოეტური „მე“ მთელი კაცობრიობის სიმბოლოა, თვით ცხოვრება და სილამაზეა; საკუთარი თავის შეცნობა ნასიმისათვის ადამიანის ყველაზე საუკეთესო თვისებაა. ნასიმი, როგორც ათეისტი, ამტკიცებს, ღმერთი ადამიანში უნდა ვეძიოთო. ამიტომ თამამად აცხადებს:

„მე დიდი ვარ და უსახარულო.
მე ადამი ვარ, ძე ვარ კაცისა,
ეს მე ვარ ღმერთი
ამქვეყნიური“.

ნასიმის ეს სიტყვები შეასაუკუნეთა ბნელით მოსილ ეპოქაზე ეჭიკ-ეჭიკიანივით გაისმა. მიუხედავად პოეტის საერთო ობტიმისტური განწყობილებისა, ნაღვლიანი სტრიქონებიც ხშირად უტევენ ხალხის მოიმედე მგოსანს.

პოეტი ყოველგვარი რელიგიური დოგმების წინააღმდეგია. იგი აშკარა წინააღმდეგობას ხედავს ცხოვრებასა და საზოგადოებას შორის. მას მიაჩნია, რომ ცხოვრება მხოლოდ აქ არის, — მიწაზე და ადამიანმა უნდა შეიტკბოს იგი. სამოთხე ამქვეყნიური სიხარული და ბედნიერებაა. ამიტომ არის, რომ მგოსანი აღფრთოვანებულია სატრფოს ხილვით და მის წინაშე ყველაფერი ავიწყდება:

„ეგ ცხრაპირა, ეგა, ეგ ცხრაკუდა, ეგა!“ — ქაქანებდა ცრემლმორეული დედაკაცი და თან მანქანაში ულაგებდა წასასვლელად ამარგებულ შვილსა და რძალ-შვილიშვილს წლების განმავლობაში უარყოფილ ძღვენსა თუ მშობლიურ წილს...

„აპარტიც მე ვარ, შვილო, დედა შეშოგეკლოთ, გოგირდიცა და სასლავიც, თქვენი კვნესამე, მაგისი წყალ-წყალა გარე-გარე ბაზარწაწყლით ჩამწყდა და ჩამეფრიკა შინ და გარეთი, დედა შემოგვლოს!.. ბრალი მაგისია, რომ ვერც და ვერ ეკარ ძმა ვეღარ შეგმატე შვილო. დიდედამც შემოეგლეშათ ჩემს შვილიშვილებსა, ამ ჩემს კოკრებსა, მაგათ უნახავად რომ ჩამოვეკნა და ამოვშრი, რო გამომიღდეს ადრე და მალე მამაშენის თავი! განა რამდენი ერთს უნდა გავწვდე, შვილო, საკოლმეურნეო ნორმაშიც ჩემი თოხი ტრიალებს, ისე კიდევ სხვაგანა. ეს ამოდონს საკარმიდამოცა და ვენახიც ხო ჩემ კისერზეა და ჩემი საპირბოროტოა, მაპატიე, შვილო, შეეცდი, როცა გაზეთში ნათქვამი მაგ შეეუღლმართის სიტყვა მოგაწოდეთ და ტყუილად ჩამოგიყვანეთ, დედა შემოგვლოთ!“

მოსთქვამდა ლადოს ცოლი, თან კიბეებზე ჩამაგალ შვილიშვილებს კოცნით ჩასდევდა.

მარანში ჩაკეტილი ლადო, ჭუჭრტანასთან მისვლასაც ვერა ბედავდა. გონწორმეული მიჰკერებოდა პაწია მაგიდას და არაყს უჭაჭუნებდა. დაცლილი არყის ბოთლი დაგორებულიყო გაზეთზე, რომლიდანაც ლადოს გაცრეცილი, დალაქავებული სახე იცქირებოდა.

დამაჭრებულ ქვევრებს მწყარალი ბუყბუყი გაჰქონდათ და კამეტებული ძალით ანთხევდნენ ერთის შეხედვით უმანკო ამონასუნთქს.

„ყირიმში რო გადაგრეხავენ... დაშაქრებული, სუფთა წვენი... სამკვდრო-სასიცოცხლო ერთი ქვევრი როგორ არ ჩასასს, ჩავაბარებ, ნეალეკ, ზეგაც მოისხამს და ჩავაბარებ, სულ, სულ!... — ლუღლუღებდა ლადო მაჭრის ნადუღი პაერით უზომოდ დაჭირხნულ მარანში და როგორღაც უჩვეულო, ზედმეტად გადამძიმებულ თავს უბახუნებდა შეეუპყული გაზეთიდან მაცქერალ დალაქავებულ თავის გამოსახულებას...

მანქანა დაპკოცნა თვალცრემლიანმა დედამ და მანამდე გასცქეროდა მარას, ვიდრე არ მიეფარა... მერე, შინ შემობრუნდა, ერთი კიდევ მიაწყვეტლა მარნის დამგმანულ კარებს და ჩაწყვეტილი ნაბიჯით აიარა კიბეები, შვილის ნაყუდარ სვეტს შემოეხვია და შეუყვებლად აკვლითინდა.

მეორე დღეს როგორღაც უჩვეულოდ დამძიმებულიყო ბარამაანთ იღვინი ბეზობლებითა. ოდგა ჩიჩქოლი, მომსვლელ-მიმსვლელი ემატებოდა, ეზოც ივსებოდა, ეზოს პირიც. მოდიოდა და მოდიოდა ხალხი ერთმანეთში გადალაპარაკებით. ბინას მიტანებულები ხმას დაუწევდნენ და ჩურჩულით შედიოდნენ ეზოში. ისევ იმ სვეტს მიპყუდებოდა ლადოს ცოლი, გუშინ რომ დაკოცნა შვილისა და რძალ-შვილიშვილის გასტუმრების შემდეგ... დიდ ოთახში გამართულ თალხსაფარიან ტახტზე ბარამაანთ ლადოს ასწორებდნენ მეზობლები. თავის ასამღლებლად ლადოს ნაყიდი გაზეთების მთელი შეკვრა შეედოთ თალხი საფარის ქვეშ. შვილის წასვლის ღამეს დამაჭრებული ქვევრებიდან ჭარბა ამონასუნთქით მოგუდულიყო დაბუნულ მარანში უპირო, კუჭბაწარა ლადო.

მესამე დღეს ისევ მოადგა შვილიშვილებით შევსებული მსუბუქი ავტომანქანა მამისეულ ეზოს. გაუგებარი პაპის გაუგებარი წასვლით დაბნეული ბავშვები მორჩილად ადიოდნენ ხალხით დამძიმებული სახლის კიბეზე.

ფითელწყაროელი, სპეციალისტი.

ლეილა ერაძე.

საბჭოთა ქართველოს ქმა-ბარეთ

გაცოცხლებული ისტორია

თელავი. (საკ. კორ.). პენსიონერი დიმიტრი მაღალაშვილი სპეციალობით ელექტრონინჟინერია. პენსიაზე გასვლის შემდეგ, აგერ ათი წელია ხელი მოჰკიდა მეტად საინტერესო და ორიგინალურ საქმიანობას — შეუდგა ქართველი-ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების მაკეტების შენებას. პირველი მისი ნამუშევარი იყო გრემის თვალწარმტაცი ეკლესიის მაკეტი. შემდეგ მას მოჰყვა ალავერდი, შუამთა, ნეკრესი, ამამდავითი, ბატონისციხე, ჯვარი... ყველა მაკეტი მასშტაბის, პროპორციისა და ფორმის ზუსტი დაცვით არის შესრულებული. ამიტომ მნახველს საშუალება ეძლევა საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა იქონიოს ამ ისტორიული ძეგლების შედარებით სიდიდესა და არქიტექტურაზე. თვითეული მათგანი შესრულებულია დიდი გულმოდგინებით, დაახლოებით იმავე ფორმის თუ ფერის მასალებით (ქვიშები, ქვის ნამსხვრევები, აგურის ნატეხები, ყირა, თაბაშირი...), რასაც მშენებლობაში იყენებდნენ ჩვენი შორეული წინაპრები.

დ. მაღალაშვილი ახლა 77 წლისაა, მაგრამ კვლავ დიდი ხალისითა და გატაცებით აცოცხლებს ჩვენი ეროვნული საგანძურის შედევრებს.

ამ ზაფხულს სარაიონო კულტურის სახლში მოეწყო დ. მაღალაშვილის ნამუშევართა გამოფენა, რომელმაც უამრავ მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.



სურათზე: დ. მაღალაშვილი თავის ნამუშევართან საგამოფენო დარბაზში.

ა. გრიდლკის ფოტო.

ახალი კუნძული

ტოკიო. 15 სექტემბერი. (საკდსი). იაპონიის გეოგრაფიულ რუკებზე გაჩნდა ახალი კუნძული. იგი წარმოიშვა წყნარ ოკეანეში ოკასავარის (ბონინი) არქიპელაგზე წყალქვეშა ვულკანის ამოხეთქვის შედეგად. იაპონელმა მეცნიერებმა, რომლებმაც გუშინ თვითმფრინავიდან დაათვალიერეს კუნძული, აღნიშნეს, რომ მისი დიამეტრია დაახლოებით 120 მეტრი, უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან — დაახლოებით 40 მეტრი. ვულკანის აქტივობა არ ნელდება. ყოველ წუთს მისი კრატერი, რომლის დიამეტრი 70 მეტრია, აფრქვევს ქვასა და კვამლს.

მესამედ — სამი ახალშობილი

კოტონუ. 15 სექტემბერი. (საკდსი). აფრიკაში მრავალშვილიანი ოჯახი იშვიათი მოვლენა არ არის. მაგრამ მაინც განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ტოგოს ქალაქ ცევიეს ერთ-ერთი მცხოვრების ოჯახმა, სადაც უკვე 16 შვილია. საქმე ის არის, რომ უკვე მესამედ ამ დიდ ოჯახს ერთად შეემატა სამი ახალშობილი. ორჯერ ამ ოჯახში დაიბადნენ ტყუპები.

დედა და აფრიკის შორეული ქვეყნის სამი ახალი მოქალაქე თავს კარგად გრძნობენ.

□

კოლონური იუმორი

— როგორც იქნა, წიგნს მოკიდა ხელი, ეგეგ თავი დანებებოს ბიჭებთან ხიბლილს.

მე შემრცხვებოდა, ასეთ პარიკს რომ ვატარებდე.

ᲨᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘ

ᲮᲣᲗᲘᲐᲜᲘ... ᲝᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„დინამო“ თბილისი — „დინამო“ მინსკი — 4:0 (2:0).

15 სექტემბერი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი ვ. უარკოვი (მოსკოვი).

თბილისი — გოგია, ებრალიძე, კანთელაძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მარაიძე, ასათიანი (ძოძუაშვილი), გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მინსკი — ვერგეიკო, ბელოუსი, გორკო, სლოვაკი, კუზნეცოვი, პროკოპენკო (ოვჩინიკოვი), ბოგოვეი, ვორონინი (კურნევი), ვასილიევი. ტიმოფეევი, სახაროვი.

„დინამომ“ ეს შეხვედრაც დიდი ანგარიშით მოიგო — 4:0. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მინსკელები ერთობ სუსტად გამოიყურებოდნენ, გიორგი პასტაკორელები წინა მატჩში.

გუშინდელ შეხვედრაში თავი ისახელა გივი ნოდიამ, რომელმაც ოთხივე ბურთი გაიტანა (აქედან სამი — თავური დარტყმით).

პირველად ეს მოხდა თამაშის მე-18 წუთზე ასათიანისა და ლ. ნოდიას ლამაზი კომბინაციის შედეგად, შემდეგ — მე-40 წუთზე, როდესაც ლ. ნოდიამ ზუსტად ჩამოაწოდა ბურთი კუთხური დარტყმიდან.

მეორე ტაიმში — თამაშის 61-ე წუთზე გ. ნოდიამ გოლი უკვე გაიტანა, ხოლო 83-ე წუთზე — მას შემდეგ, რაც მეკარემ მოიგერია ებრალიძის დარტყმა.

თბილისელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა გივი ნოდიამ ამ დღეს ოთხი გოლისათვის... ხუთიანი დაიმსახურა!

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი: ვოროშილოვგრადში ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონმა „ზარიამ“ მოსკოვის „ტორპედოსთან“ შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვა პენალტებით — 5:2 (ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0). კიევისა და მოსკოვის დინამოელები ამჯერად უკრაინის დედაქალაქში ასპარეზობდნენ. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს კიეველებმა.

გაიმართა მეორე ლიგის მეოთხე ზონის საკავშირო პირველობის კიდევ ერთი შეხვედრა. გორის „ლილა“ საკუთარ მოედანზე დამარცხდა ქალეგის „ლოკომოტივთან“ ანგარიშით 1:2.

კიევის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ ფინალური მატჩი სხრ კავშირის თასზე გაიმართება **მოსკოვში 10 ოქტომბერს.**

რეგბისტთა მატჩი

გუშინ თბილისში, ხკა-ს სტადიონზე გაიმართა ყაკავშირო ჩემპიონატის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ლიდერს — მოსკოვის „ფილის“ რეგბისტთა შორის.

თამაში ხანტერესო ბრძოლაში წარიმართა. დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3 (4:0).

◆

„სპორტლოტოს“ შედეგები

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ გახდა 10 სექტემბერს უუგოროდში გამართული „სპორტლოტოს“ 25-ე ტირაჟის შედეგები. ჩვენს რესპუბლიკაში **ოცმა** „სნაიპერმა“ ზუსტად გამოიცნო ხუთ-ხუთი ნომერი და **თვითეული მიიღებს 2.955 მანეთს.** იმათ, ვინც სწორად ამოიცნო სპორტის **ოთხი** სახეობა (სული სულ 118 კაცია) მიეცემათ **73 მანეთი** თვითეულს. **2499** მოთამაშემ ამოიცნო სამი ნომერი და მოიგო **ოთხ-ოთხი** მანეთი.

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

Შ. ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔᲡ— ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინიში

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ დედაქალაქში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაშიც. საბჭოთა ფალავნებმა აქაც წარმატებით ასპარეზეს. ხუთი მათგანის პატივსაცემად თეირანის „ფარახის“ სტადიონზე აღიერდა ჩვენი სამშობლოს ჰიმნი. აი ისინიც, ოქროს მედალოსნები: ვლადიმერ ზუბკოვი, შამილ სისოევი, ლეონიდ ლიბერმანი, ნიკოლოზ ბალბაშინი და ვალერი რეზანცევი. რომლის შესახებ ჩვენ უკვე ვიუწყებოდით.

ვერცხლის მედლებით ბრუნდებიან სამშობლოში რუსტემ კაზაკოვი და ანატოლი კოკაევი.

მძიმე წონის მოჭიდავემ — 22 წლის თბილისელმა ფალავანმა შოთა მორჩილაძემ, რომელმაც კარგად ჩაატარა მთელი ტურნირი, დასასრული დამარცხება გაიცადა ფინალში ბულგარელ ალექსი ტომოვთან და მესამე ადგილზე გამოვიდა.

კლასიკური სტილის მოჭიდაოეთა ტურნირში მონაწილეობდა 31 ქვეყნის 159 სპორტსმენი. სულ კი თეირანის „ფარახის“ ხალიჩაზე ჭიდაობის სამ სახეობაში გამოვიდა 41 ქვეყნის 400-ზე მეტი ფალავანი.

საბჭოთა მოჭიდაოეებმა მართლაც რომ ოქროს მოსავალი აიღეს — მოიპოვეს 20 უმაღლესი ჯილდო, ვერცხლის 6 და ბრინჯაოს 2 მედალი.

მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატები გაიმართება: თავისუფალ ჭიდაობაში — სტამბულში, კლასიკურ ჭიდაობაში — კოტოვიცეში, სამბოში — ულან-ბატორში.

რამდენიმე სტრიქონით

● **ᲨᲕᲔᲓᲠᲗᲘ.** საბჭოთა იუნიორებმა — როგორც გოგონებმა, ასევე ბიჭებმაც მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის სამტაფო წოდება ჰოლანდიის ქალაქებში გამართულ ტურნირებზე. დასკვნით შეხვედრებში ჩვენმა ფრენბურთელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები: ბიჭებმა — სამ პარტიაში (15:6, 15:6, 15:4), ხოლო გოგონებმა — ოთხ პარტიაში (16:14, 13:15, 15:13, 15:11).

● **ᲨᲐᲠᲘᲙᲐᲣᲑᲐ.** კიევში, სადაც მიმდინარეობს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი მოფრიკაკეთა ტურნირი, დამთავრდა ხმლით მოსასპარეზეთა ბრძოლები. საქართველოს ნაკრებმა (მ. სახვაძე, ა. გოგელია, დ. შარაშენიძე, თ. ქართველიშვილი) მესამე ადგილი მოიპოვა მოსკოვისა და აზერბაიჯანის გუნდების შემდეგ.

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ᲩᲘᲒᲝᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სოჭი. მშვიდობიანად დასრულდა ერთაშორისო ტურნირი „ეროვნული“. უკვე ხე-15 სვლაზე „ყარაზე“ შეთანხმდნენ სმეიკალი და ტალი, ხოლო მეცხრამეტეზე — კროგიუსი და ფილიპი. რამდენიმე ხნის შემდეგ ასევე „დაზავდნენ“ ჰენინგს-სუეტინი და რაშკოვსკი-ბალაშოვი. სამაგიეროდ, დანარჩენი შეხვედრები მძაფრად წარიმართა — ტიმან-სპასკის, ხოლმოვ-ანდერსონის, საბო-კორენსკისა და სპირიდონოვ-რუკავინას პარტიები გადაიდო. წინა ტურში გადადებულ პარტიაში ტალი და ჰენინგსი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.

ათი ტურის შემდეგ ლიდერია ტალი, რომელსაც 7 ქულა აქვს.

წინ არის პორტიში

სამი გროსმაისტერის მატჩ-ტურნირზე იუგოსლავიის ქალაქ პორტოროოეში გაიმართა მერვე ტურის პარტია პორტიშსა და გელერს შორის. მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ახლა ტურნირზე ასეთი მდგომარეობაა: პორტიშს აქვს 3 ქულა ოთხი შესაძლებლიდან და ერთი გადადებული პარტია, პოლუგაევსკს — 2 ქულა ოთხიდან და ერთი დაუმთავრებელი შეხვედრა, გელერს — 2 ქულა ექვსი შესაძლებლიდან.



ᲑᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡᲐ და ჩუკოტკის ზღვების წყლებში, რომლებიც ეკვრიან საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, ამჟამად დაახლოებით შვიდი ათასი რუხი ვეშაპი-ბინადრობს. ეს მონაცემები მიიღო წყნარი ოკეანის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაგადანის განყოფილების ექსპედიციამ. მეცნიერები ოცი დღის განმავლობაში თვითმფრინავიდან ითვლიდნენ ზღვის ძუძუმწოვრებს. „ილ-14“ თვითმფრინავში ექსპედიციამ ჰაერში სულ 120 საათზე მეტი დაპყო.

— ჩვენი ამოცანა იყო, — თქვა საკავშირო კორესპონდენტთან საუბარში ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. ვ. ზიმუშკომ, — გაგვეესაზღვრა რუხი ვეშაპების მდგომარეობა. პირველად ეს სამუშაო ეწყობოდა ამერიკელ მეცნიერებთან ერთად სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად.

რუხი ვეშაპების სამშობლო კალიფორნიის ყურეა. მაგრამ, შთამომავლობის გაჩენის შემდეგ ვეშაპები ჩრდილოეთისაკენ მიიშურებენ ხოლმე. საკვებით მდიდარ ჩუკოტკისა და ბერინგის ზღვებში ისინი ატარებენ დაახლოებით ხუთ თვეს, შემდეგ კი მშობლიურ მხარეს უბრუნდებიან.

საბჭოთა მეცნიერები მუდმივ მეთვალყურეობას უწევენ რუხ ვეშაპებს. დადგენილია, რომ მათი რაოდენობა უკანასკნელი წლების მანძილზე თითქმის ერთი სამად გაიზარდა. ეს შესაძლებელი გახდა რეწვის სწორი ორგანიზაციის, ბუნების კანონების მკაცრი დაცვის შედეგად.

ე. დენისოვი.

რა უნდოდათ თოლიებს?

პირველმა განგაში ატეხეს ნაცადმა მეზადურებმა, რომლებსაც მთელი სიცოცხლე გაუტარებიათ აქ, დაბა სამოლვაში ჩუდის ტბის ნაპირზე.

მოულოდნელად მათს ადგილებს უამრავი თოლიები მიაწყდნენ. ყველაფერი ამაზე მიანშენდა, რომ დიდი შტორმი ამოვარდებოდა. მზრუნველად დაფარეს ნავები, დამალეს ბადეები. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე, ნავარაუდევი უამინდობა კი არ ჩანდა.

და მაშინ გამოირკვა, თუ რა მიზეზით დაეხიზნენ დაბას ფრთოსანთა გუნდები. ამ მხარეში ხანგრძლივი თბილი ამინდის გამო ძალიან მომრავლებულიყვნენ ხოჭოები, ღამის პეპლები. სწორედ მათ მიიზიდეს თოლიები. ფრინველებმა სწრაფად გაწმინდეს ბალები და მინდვრები გაუმაძღარ მავნებელთაგან, შემდეგ კი ტბაზე დაბრუნდნენ.

ხ. მირონოვი.

ასკოვი.

„ტრუდ“.

ᲐᲕᲘᲐᲑᲝᲛᲑᲘ ᲙᲚᲐᲭᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ

□ **ᲙᲐᲚᲔ ᲘᲥᲪᲔᲕᲘᲐᲜ ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘ □ ᲡᲐᲤᲠᲝᲗᲮᲔᲛ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ**

ᲕᲐᲜᲐᲣᲙᲝᲕᲘᲡ მეთაურმა კაბინეტში გამოიძახა კომუნისტი, უფროსი ლეიტენანტი მიხეილ გრიგოლის-ძე მოსკალიოვი.

— გთხოვთ, წაიკითხოთ, — უთხრა მან.

დეპეშა მოსულ იყო: „ბიჭვინთის რაიონში ზღვის ფსკერზე აღმოჩენილია დიდი ავიაბომბი, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ პიროტექნიკოსები“.

— შეარჩიეთ და გზას გაუდექით.

— არის! —უპასუხა ოფიცერმა.

ავიაბომბი იპოვნეს წყალქვეშა ექსპედიციის თანამშრომლებმა. იგი ნაპირის მახლობლად იყო.

პიროტექნიკოსთა ჯგუფი გათვალისწინებულ რაიონში ჩავიდა. მან გააყოლეს ორი სამხედრო კატარღა და მყვინთავები.

უფროსმა ლეიტენანტმა მოსკალიოვმა დაათვალიერა ადგილი. მისი რჩევით ზღვის ზოლი უბნებად დაყვეს, რათა კარგად გამოეკვლიათ ფსკერი.

ამრიგად, ოფიცერ მოსკალიოვის ხელმძღვანელობით პიროტექნიკოსთა ჯგუფი შეუდგა შემოწმებას, მან არც ერთი წუთით არ მიუტოვებია ხაში“ი ადგილი, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის წლების მანძილზე მიხეილ მოსკალიოვმა თავი გამოიჩინა, როგორც ხელქვეითთა კარგმა აღმზრდელმა, სპეციალური საქმის ნამდვილმა ოსტატმა. მის ანგარიშზეა ათასობით გაუვნებლებული აუფეთქებელი ჭურვი, ნაღმი, ავიაბომბი, რამდენჯერ ყოფილა, რომ მოსკალიოვს შეუხედავს თვალში სიკვდილისათვის, მაგრამ მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. ხამშობლომ დიდად დააფასა მისი შრომა. ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი ამშვენებს გულადი ოფიცრის მკერდს...

ფსკერზე ჩასულმა მყვინთავმა ვერ გაარკვია ბომბის მარკა: ავიაბომბი დაფარული იყო ყინგით, რომელსაც წაეშალა მარკა.

წყალქვეშ ჩავიდა მოსკალიოვი, იგი ავიაბომბს მიუახლოვდა, ფეხქვეშ ბუშტები ავარდა. გარშემო ავბედითი სიჩუმეა. ძველი ბომბების გაუვნებლება რთული საქმეა. ფალია კიდევაც რომ აღარ იყოს, ამოღების საფრთხე ძალიან დიდია. ასე დიდხანს ნადები ასაფეთქებელი ნივთიერება რეაქციას ადენს ლითონის კორპუსთან და უანგის უმცირესმა გადაადგილებამ შეიძლება აფეთქება გამოიწვიოს.

მოსკალიოვმა იუველირის სიზუსტით მოაშორა შლამი და შეამოწმა ავიაბომბის კორპუსი. იგი საათის მექანიზმზე იყო დაყენებული. ადგილიდან დაძვრისთანავე მექანიზმი შეიძლება ამუშავდეს. „ამ მომაკვდინებელ განძს ჩვენ გვიან ხალმოს გავუსწორდებით, როცა სანაპიროზე კაცის ჭაჭანება არ იქნება“, — გადაწყვიტა ოფიცერმა. ავიაბომბის მახლობლად ტივტივა დაიყენეს, რომელიც ბომბის ადგილსამყოფელს მიუთითებდა.

მუშაობა გრძელდებოდა, უფროსი ლეიტენანტის მოსკალიოვის განუწყვეტელი მეთვალყურეობით უმცროსი სერჟანტი ივანე შუმი, რიგითი ჯარისკაცები ვლადისლავ რუჟა და ვლადიმერ ზიმინი დიდხანს არ ამოსულან წყლიდან, ნაღმსაძიებლებთან უსმენდნენ ზღვის სანაპიროს ფსკერის ყოველ სანტიმეტრს.

პი-პი-პი — მისცა სიგნალი ახალგაზრდა ჯარისკაცის ვლადიმერ ზიმინის, ნაღმსაძიებელმა.

მეტრნახევარ სიღრმეზე ავიაბომბის სილუეტი მოჩანდა. ოფიცერ მოსკალიოვის ნებართვით უმცროსმა სერჟანტმა შუმმა და რიგითმა ჯარისკაცმა ზიმინმა იპოვეს ავიაბომბი და დააყენეს ტივტივა.

სანაპიროს მისაწვდომ სიღრმეზე ჯგუფმა აღმოაჩინა ათამდე აუფეთქებელი ავიაბომბი, სამხედრო კატარღებისა და მყვინთავების დახმარებით კი კიდევ იპოვნეს ათზე მეტი, რომელთა წონა 50-დან 150 კილოგრამამდე იყო თვითეულისა.

ოცი დღის განმავლობაში მყვინთავებმა, უფროსმა ლეიტენანტმა მიხეილ მოსკალიოვმა, სერჟანტმა ალექსანდრე კარაკუხამ, უმცროსმა სერჟანტმა ივანე შუმმა, რიგითმა ჯარისკაცებმა ვლადისლავ რუჟამ, ვლადიმერ ზიმინმა, ვლადიმერ ფრიდმანმა აღმოაჩინეს და ზღვის ფსკერიდან ამოიღეს **30** ავიაბომბი, ბომბები დატვირთეს ავტომანქანის ქვეშიან ძარებში, გაიტანეს კურორტის ფარგლებს გარეთ და აფეთქეს ხევში.

მეომრები ოცი დღის განმავლობაში სიკვდილს პირისპირ შეჰყურებდნენ. გმირობა ბევრნაირია. ზოგი წამიერია, როგორც ალის აგიზგიზება, ზოგი ხანგრძლივი და ძალიან ძნელი. სწორედ ასეთი გმირობა ჩაიდინეს მეომრებმა პიროტექნიკოსებმა კომუნისტის, უფროსი ლეიტენანტის მიხეილ გრიგოლის-ძე მოსკალიოვის მეთაურობით. (საქინფორმი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ

სომეხი კინემატოგრაფისტების ეს ლირიკული მუსიკალური კომედია მოგვითხრობს მამაკაცთა დიდ მეგობრობაზე, სიყვარულზე, ადამიანთა შორის სოლიდარობაზე. ფილმის ავტორები მოგვითხრობენ სომხეთზე, მის ისტორიასა და ადათ-წესებზე, გვიჩვენებენ უძველეს და მუდამ ახალგაზრდა ქალაქს — ერევანს და მის მკვიდრთ — კეთილსა და მხიარულ ადამიანებს.

ფილმის დამდგმელ რეჟისორს ედმონდ კეოსიანს მაყურებელი იცნობს სათავგადასავლო რომანტიკული ფილმების სერიით მოუხელთებელ შურისმაძიებლებზე.

კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობების არმენ ჯიგარხანიანის, მგერ მკრტჩიანის გვერდით ფილმში ვნახავთ ახალგაზრდებსაც ავეტიქ გეგორქიანს, ალა თუმანიანს, არმენ აივაზიანს და სხვებს.

მონოლოგი

ამ ფილმის მთავარი გმირი, მეცნიერი სერეტნსკი ეკუთვნის იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელთაც **არ** შეუძლიათ და არც უნდათ იცხოვრონ საკუთარი თავისთვის. მთელი მისი ცხოვრების მიზანია თავდაუზოგავად ეშსახურის ადამიანებს, მეცნიერებას.

პროფესორ სერეტნსკის როლს ფილმში ასრულებს ცნობილი კინომსახიობი მიხეილ გლუზსკი. დანარჩენ როლებში მაყურებელი ნახავს მარგარიტა ტერეხოვას, სტანისლავ ლუბშინს, მარინა ნელეოვას და სხვებს.

კინოსტუდია „ლენფილმის“ ნაწარმოები.

• • •

სურათზე: კადრი ფილმიდან „მამაკაცები“.



ᲠᲐᲓᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

□ 17 სექტემბერი

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.40 — „პროლეტიკური ინციკლოპედია“, 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — „სამშობლოს უპატაკებს ესტონეთის სსრ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ქართული ხალხური სიმღერები (ამბროლაურის კუნტურის სასლის ვოკალური ანსამბლი „საგალობელი“), 20.25 — „სანალსო კონტროლის ეგრანი“, 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კინონარკვევი, 21.40 — „იყალთოს გარიჟრაჟი“, 22.00— „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“ (I სერია).

□ 18 სექტემბერი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — ხოლოების დასახმარებლად: ფიზიკა (VII კლასელთათვის. სითბოს გადაცემა), 11.25 — მხატვრული ფილმი „ყმა მსახიობი ქალი“, 13.00 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ქართულ ენაში, 17.15 —ლექცია ბიოლოგიაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — მოსწავლეთათვის. „კარგი საჩუქარი“, 18.25 — „ეს ყველამ უნდა იცოდეს“, 18.35 — „შეჯიბრება მხრებს შორის“, 19.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ი. ნასიმის დაბადების 600 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“ (II სერია), 23.45 — „სპორტული კვირეული“.

□ 19 სექტემბერი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთათვის „ნეპტუნის“ კლუბის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი „მხიარული ახალგაზრდობა“, 17.05 — ენის შემსწავლელთათვის რუსული ენა, 17.35 — ახალი ამბები, 17.40 — ენის შემსწავლელთათვის: ინგლისური ენა, 18.10 — „მაღაოსარის-ხოვანი თეძლი ნიადაგს“, 18.25 — ფეხბურთი უეფას თასზე: „დინამო“ (თბილისი) — „სლავია“ (სოფია), 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „გულგრილობა და უკონტროლობა — დროა ბოლო მოვუღოთ მათ“, 21.30 — ფერადი ტელევიზია. ფეხბურთი თასის მფლობელთა თასზე: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ატლეტიკო“ (ბილბაო). II ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრემია“— საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22,45 — „ფარდის ახდის წინ“.

□ 20 სექტემბერი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინოპროგრამა, 11.45 — მხატვრული ფილმი „თქვენი სასლის მისამართი“, 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ქიმიაში, 17.15 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — სოფლის მეურნეობის „მუშაკთათვის“, სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთავარი როლი“ (ქართულ ენაზე), 18.20 — განცხადებები, 18.30 — ფერადი ტელევიზია, ბავშვებისათვის, „ბურატინოს გამოფენა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ზეგნის მიმოსლვა“, 19.30 — „ჩვენ მოსკოვმა დაგვამეგობრა“ — ფილმი-კონცერტი, 20.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების კარი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „შრომისა და სამოქალის ადამიანები“ — თერჯოლის რაიონი (გამეორებით), 23.10 — კინოპროგრამა, 23.45 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. „დინამო“ (დრეზდენი) — „იუვენტუსი“ (ტურინი) — II ტაიმი (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან).

□ 21 სექტემბერი

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ფერადი ტელევიზია; ბავშვებისათვის „ბურატინოს გამოფენა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ს. ლასკინი სატელევიზიო სპექტაკლი „ხაზზეა ექიმი კულიაშბჯინი“, 12.30 — კინოპროგრამა, 13.15 — „მუსიკალური კალენდარი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — ბაშკირეთის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.05 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია ფიზიკაში, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი ბრეს-კონფერენცია“, 19.00 — სპორტული ტანვარჯიში საბჭოთა კავშირის თასზე, 21.00 — კინონარკვევი, 21.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 21.40 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 22.00 „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საერთაშორისო მიმოხილვა, 22.45 — კონცერტი მაყურებელთა წერილების მიხედვით.

□ 22 სექტემბერი

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „ბავშვებისათვის“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია მათემატიკაში, 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სათვალიანი“, 13.40 — ფერადი ტელევიზია. „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.10 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 15.10 — „კინოფაფა“, 15.35 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“, 16.35 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — სპორტული ტანვარჯიში საბჭოთა კავშირის თასზე, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — გადაცემა ციკლიდან „ქართველი კომპოზიტორები“ — ალექსი მაჭავარიანი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საესტრადო კონცერტი.

□ 23 სექტემბერი

10.05 — დილის ვარჯიში. ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. მოსწავლეთათვის. „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია მათემატიკაში, 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სათვალიანი“, 13.40 — ფერადი ტელევიზია. „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.10 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 15.10 — „კინოფაფა“, 15.35 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“, 16.35 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — სპორტული ტანვარჯიში საბჭოთა კავშირის თასზე, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — გადაცემა ციკლიდან „ქართველი კომპოზიტორები“ — ალექსი მაჭავარიანი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საესტრადო კონცერტი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

16 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20— ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მაღვიძარა“ /(გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტანორამა“, 11.45 — „ჯადოსნური ეკრანი“, 12.00 — „ღეს ტყის მუშაკის დღეა“. (გადმოცემა მოს